# დროება

ყოველდღიური სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 205 ხუთშაბათი, 17 სექტემბერი 1909 წ. № 205

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოთ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ სექტემბრიდან წლის ბოლომდე 3 მ. 70 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ხუთშაბათს, 17 ენკენისთვეს, 1909 წ., № 2.

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ, ბ-ნთ კ. მესხის და გ. გედევანოვის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

## „ჭირვეული ცოლის მორჯულება",

კომედია 4 მოქმედებად შექსპირისა.

წარმოდგენაში მონაწ. მიიღებს სექციასთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

დასაწყისი სალამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება შაბათს საღამოს, 26 სექტემბერს. მზადდება წარმოსადგენად; „ცხოვრების გარეშე", პროტოპოპოვისა, «შემოსავლიანი ადგილი», ოსტროვსკისა და სხვ.

დაბეჯითებით ვთხოვთ საზოგადოებას, სხვის ადგილზე ნურავინ დაჯდება. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულიად აკრძალულია. წესიერების დაცვაში იმედია თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

(3—3) რეჟისორი შათირიშვილი. ადმინისტრატორი სვირელი.

## კახეთის მევენახეთა საზოგადოების „კახეთი"-ს

გამგეობა აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა 1909 წ. 28 ენკენისთვეს დანიშნულია მეორე საზოგადო კრება თელავში დილის 10 ს.

კრებამ უნდა განიხილოს:

წლიური ანგარიშები 1906-1907 და 1907-1908 წლებისა და ხარჯთ-აღრიცხვა;

მოხსენება საქმის აწინდელ მდგომარეობის შესახებ და ზომები საქმის გასაუმჯობესებლად;

საზოგადოების ახალ წევრების არჩევანი;

არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრებისა და გამგეობის სამის წევრისა და სხვა მოღიგი საქმეები.

რადგან კრება მეორედ ინიშნება, ამიტომ იგი კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს (წესდების § 40). (3—6—3)

წიგნის მაღაზია და ჟურნალ-გაზეთების კანტორა

## „იმერეთი"

(წინანდელი „კოლხიდა" ქუთაისში)

1 ენკენისთვიდან ხსნის განყოფილებას გიმნაზიის ქ. ბულვარის პირდაპირ, ალ. თუმანოვის სახლებში და იწყებს ვაჭრობას ქართულ-რუსულ სახელმძღვანელოებით, სამოსწავლო და საკანცელარიო ნივთებით, რვეულებით, ღია ბარათებით. ფოსტის და გერბის მარკებით და სხვა.

კანტორას მოსდის მუდამ დღე ყველა ადგილობრივი და სატახტო ქალაქებიდან უფრო გავრცელებული ჟურნალ-გაზეთი და იღებს მათზე ხელის მოწერას. ვისაც, სურს ახ ლი გაზეთები დილითვე მიიღოს ბინაზე,—უნდა ჩაეწეროს კანტორაში, აჩვენოს ადრესი და კანტორის მეგაზეთეები მიუტანენ მათ შეკვეთილ გაზეთებს.

მაღაზია ღებულობს: ქართულ-რუსულ ახალ წიგნებს, გამოჩენილ მწერლების და მოღვაწეების სურათებს, ნახატებიან ღია ბარათებს და სხვ.

კანტორა ღებულობს: ყოველ-გვარ განცხადებებს გაზეთებში დასასტამბათ. საკომისიოთ წიგნებს და წარმომადგენლობას მთელ გუბერნიისათვის, წიგნების გამომცემლების, რედაქციების და ქაღალდის ფაბრიკისაგან.

კანტორას შეკვეთილი აქვს საზღვარ-გარედ რუსულ-ქართული „რემინგტონი" და მიღებისათანავე დაიწყებს კერძო ფასიან სამუშევრების მიღებას. ფასები გადაწერისა კანტორაში იქნება გამოცხადებული. (6—კვ.—6)

ექიმი ქ. ქუთაისში. მ. დ. ბეთანოვი

აფთიაქის, N 24, და კლუბის ქ., N 2, კუთხეში. იღებს სიფილისით, ვენერიულ, კანის და შინაგანის სენით ავადმყოფებს ყოველ დღე 25 აგვისტოდან დილით 9—11 ს. საღამოთი 5—8 ს. (25—კვ.—19)

ექიმი კბილისა ს. ვაშაყმაძე

აბასთუმნიდან დაბრუნდა. ავადმყოფებს იღებს ახალ ბინაზე დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დაღმართი, ს. N 15. (25—ნ.—8)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 25.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ი. ნ. ეგიაზაროვის

ელექტრო-თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ხალ.—8)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—7)

ექიმი ჩარექოვი ქ. ქუთაისში. სპეციალისტი.

იღებს განსაკუთრებით სიფილისით, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. დილით 12—2 ს., საღამოთი 5—6 ს. გეგუთის ქუჩა, აბულაძის მესაზვევი იოსელიანის სახლში. (25—ფ.—10)

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—62)

ექიმი ლ. ნ. ოქანჯანოვი

ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ხალ.—14)

ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—0)

ექიმი მ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

ექიმი მ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი გ. მაგაკიანი.

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—29)

ექიმი კბილისა ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავადმყოფობანი. ხელოვნური კბილები. ავადმყ. მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. მიხეილის პრ., ს. N 22 (სემიონოვის ქ. კუთხე, N 3). შესავალი სემიონოვის ქ. (100—1010—16)

ექიმი მიუნხენის უნივერსიტეტისა იორდანე მ. გოცაძე

დაბა ყვირილაში

მიიღებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს 8—1 ს. გედევან ჩუბინიძის ნომრებში. ნახადილევს ივლის სახლში ავადმყოფებთან. (25—417—19)

ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში

9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—66)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, ხაგუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 159.

ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოვრონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—249)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—საათ.

რიდელი—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე 2½—3½ ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1½—3 ს.

პავლოვსკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოგოვსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

იაკ. ჩუდნოვსკი.—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ასპისოვი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

ნავიცკი—ქალ., ყოველ დღე 1—2 საათ.

ახვლედიანი—ბავშვისა შინაგ. ყოველ დღე 11—12½ ს.

არღუთინსკი—შინაგან ავად. ყოველ დღე 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსენარის შრატით. (100—ნ.—93)

ახლად გახსნილი

ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

გ. დ. ლამბაშიძე—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ბ. ა. პოპოვი—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

მ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—157)

ნაფიცი ვექილი

## სერგეი დავითის ძე ჯაფარიძე

ქუთაისიდან გადავიდა ტფილისში (ბროსეს ქუჩა, ახვერდოვის სახლი № 11, სასტუმრო „ლონდონის" ახლოს). (25—ნ.—9)

## სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

ავადმყოფთა მიღება:

მ. ალაჯანოვი—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

ნ. ათენიანცი—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

ვ. ვნუკოვი—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

ი. ეგიაზაროვი—ნერ. და შინ. 11—12 ს.

მ. კიმონტი—ქირურგ, ავად. 11—12 ს.

მ. მაგაკიანი—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ლ. მონინა—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

ა. კალმიკოვა-ვნუკოვა—ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება მესხდვება საზოგ. პალატებისა და ცალკე ხომრებისაგან. (100—ხალ.—7)

## მასწავლებელი

მენთეშაშვილი

იყვანს ყოველ დღე მოწაფეებს. ასწავლის საუკეთესო ხელ-საქმეს, ჭრასა და კერას. მსურველთ შეუძლიანთ გაიგონ დილის 8-დან საღამოს 6 საათამდე. მოწაფეების მიღება შეიძლება ოქტომბრის ნახევრამდის. კრასნაგორსკის ქუჩა, № 27. (1—476—1)

## შპალიერი

ძმ.

## ტარნოპოლების ფაბრიკის

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქის დიდ მაღაზიებში.

განყოფილება ტფილის.: გოლოვინის პრ. 21, სადაც თეატრია საარტისტო საზოგადოებისა.

ფასები საფაბრიკოა.

ტელეფონი N 355.

ნიმუშები უფასოდ. (25—ნ. 9)

## შემთხვევით იყიდება

ღვინისა და არყის ვაჭრობის პატენტი. დამოვის ქ, № 4. მეათე ნაწილში. მსურველს შეუძლიან შეიძინოს დუქნის ნივთებიო. (456—1)

იყიდება ყველგან ახალი

## ჩანგი

წიგნი 502 გვ., ჩართულია 60 მეტი სურათი საზოგადო მოღვაწეებისა. დაბეჭდილია მრავალი ისეთი ლექსები, სცენები, სახუმარო და სატირული კუპლეტები, რომლებიც ჯერეთ არსად არ დაბეჭდილა. სხვათა შორის მოთავსებულია სამი პიესა: „ადვოკატთან", „ტაინი სოვეტნიკის სიზმარი" და „უბედური დღე". წიგნი მშვენიერის ყდით ღირს 1 მ. 35 კაპ.—უყდოდ 1 მან. ფოსტით ვინც გამოიწერს, მას გასაგზავნი ფული არ გადახდება. ფულის მაგიერ შეიძლება მარკებიც. წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ პროცენტები.

ადრესი: Тифлисъ, „Сорапанъ" Гачечиладзе. (30—ნ.—16)

გამოვიდა

## დუტუ მეგრელის

ნაწერების პირველი წიგნი:

## ლექსები

წიგნი 262 გვერდია ჩვეულებრივ ფორმატისა.

ხელის მომწერნი მიიღებენ იმათგან, ვისთანაც ხელი მოაწერეს. ვინც პირდაპირ „დროების" რედაქციას გამოუგზავნა ფული, წიგნი გაეგზავნება ფოსტით. ცალკე გასასყიდად წიგნი ღირს 70 კაპეიკი (წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20%). ვინც წიგნს დაიბარებს „დროების" რედაქციიდან, გასაგზავნი არ გადახდება; იმას კი, ვინც გამოიწერს არა ნაკლებ 10 ცალისა და ფულს წინდაწინვე გამოგზავნის, თითო წიგნი დაეთმობა

სამ აბაზად

მოკლე დროში გამოვა მეორე წიგნი: „მოთხრობები". (10—უ.10)


## ტფილისი, 17 სექტემბერი

მთავრობის მიერ დანიშნულ მამასახლისთა ინსტიტუტი ჩვენი სოფლის უკიდურეს ჟამთა სიავედ გადაიქცა. სოფლის მეთვალყურენი ერთხმად მოწმობენ, რომ არასოდეს ისეთი უუფლებობა და დარბევა სოფლის ხალხისა არა ყოფილა ჩვენში, როგორიც დღეს არის სოფლის წვრილ მოხელეთა გადაჭარბებულ თვითნებობის წყალობით. სოფელს წაერთვა ის აჩრდილიც კი თვითმართველობისა, რომელიც წინად ჰქონდა და ხალხის სვებედი სავსებით ისეთ ელემენტების ხელშია, რომელთაც არჟვითარი წარმოდგენა არა აქვთ კანონიერებაზე, უფლებაზე და სოფლის ინტერესებზე. ასეთი ყოფა აუტანელიაო, ყოველ დღე ღაღადებენ სოფლის ცხოვრების მეთვალყურენი, და, თუ მდგომარეობა არ შეიცვალა, ჩვენი სოფელი სრულებით გაველურდებაო...

აღსანიშნავი ისაა, რომ ჩვენი ქვეყნის მთავარ მართველობას თვითონაც კარგად ესმის, რა ანორმალურს მდგომარეობაშია ჩვენებური სოფელი. თავის ცნობილ უქვეშევრდომილეს მოხსენებაში კავკასიის ნამესტნიკი სასტიკ მსჯავრსა სდებს და ენერგიულად ჰგმობს იმ წესწყობილებას, რომელიც გამეფებულია ამიერ-კავკასიის სოფელში. იმის სიტყვით, სასოფლო მმართველობის ორგანიზაცია კავკასიაში სრულებით არ შეეფერება თვითმმართველობის იდეას. შედგენილი შიდა რუსეთის საგლეხო მმართველობის ყაიდაზე, კავკასიის სასოფლო მმართველობა აერთებს სოფლისა და ვოლოსტის მმართველობათა ფუნქციებს. როგორც შიდა გუბერნიებში ვოლოსტის მმართველობა ყველგან გადაიქცა საპოლიციო კანცელარიად, რომელიც აწარმოებს ისეთ საქმეებს, რომელთაც გლეხთა საზოგადოებრივ და სამეურნეო ცხოვრებასთან არავითარი კავშირი არა აქვთ, ისე კავკასიის სოფლის მმართველობაც პოლიციის განყოფილება გახდა. შიდა რუსეთში ცოტაოდნად სოფლის ყრილობამ მაინც შეირჩინა თვითმმართველობის ხასიათი, ამიერ-კავკასიაში კი სასოფლო კანცელარიებმა, ადმინისტრაციის დახმარებით, სრულებით გააუქმეს სოფლის ყრილობის მნიშვნელობა. სასოფლო პოლიციურმა თვითნებობამ მოჰკლა ხალხის თვით-მართველობა და საზოგადოებრივობა... ამას ამბობს ნამესტნიკი, ასე ვთქვათ, სოფლის ნორმალურ წესწყობილებაზე. ყური დაუგდეთ ახლა, როგორ იხსენიებს იგი სოფლის „განსაკუთრებულს მდგომარეობას": „კავკასიის ადმინისტრაციას ჩვეულებად ჰქონია, ცოტა რამ უკმაყოფილება თუ მიაყენა სოფელმა, არჩეულ მამასახლისის მაგიერ თვითონ დაუნიშნოს მამასახლისი. ასეთმა წესმა სოფლის მამასახლისები და მწერლები გადააქცია უკონტროლო და სრულებით დამოუკიდებელ უფროსებად (начальники). ხოლო სოფელში გაამეფა უკანონობა, თვითნებობა, ხალხის დარბევა, მექრთამეობა და სხვა"...

ასე ახასიათებს ჩვენი ქვეყნის მმართველი იმ წეს-წყობილებას, რომელიც ამ ჟამად ჩვენებურს სოფელშია. ნუ დაივიწყებთ, რომ ზემოდ მოყვანილი სიტყვები 1907 წელსაა დაწერილი, ხოლო მას შემდეგ რეაქციის გაძლიერებასთან ერთად ყველაფერი გაძლიერდა. მიუხედავად ამისა, ყოველივე უცვლელად რჩება და კავკასიის მმართველობა იმ პრაქტიკასაც არ იშლის, რომლის შემოღება საკუთარ მის ინიციატივის საქმე იყო და რომლის მოსპობა ამიტომ თვითონვე შეუძლიან. „განსაკუთრებულის წესის" შემოღებას იმით ამართლებდნენ, რომ სოფელში უწესობა გაძლიერდაო, ხალხი აღელვებულია და ცხოვრება ნორმალურს კალაპოტს ასცდაო. ვთქვათ და დავიჯეროთ ერთის წუთით, რომ ადმინისტრატიულ-პოლიციური რეჟიმის გამეფება უებარი საშუალებაა ნორმალურ ცხოვრებისა და მშვიდობიანობის აღსადგენად. ახლა რითი-ღა აიხსნება „განსაკუთრებულ წესების" არსებობა? ცხოვრება იმდენად დამშვიდდა პოლიციურ თვალთსაზრისით, რომ თითქმის ყველგან ჩვენს ქვეყანაში სამხედრო წესები გააუქმეს, თვითონ ნამესტნიკმა, გაზეთების სიტყვით, სადაც ჯერ არს, მოახსენა—„კავკასიაში მშვიდობიანობა აღდგენილია"-ო და რატომ აღარ ხსნიან ჩვენ სოფელს იმ ბორკილს, რომელიც, ნამესტნიკისავე სიტყვით, სოფელში ამეფებს უუფლებობასა და ძალმომრეობას?!

მეორე მხრით გავიხსენოთ ის დედა-აზრი, რომლითაც გამსჭვალულია ხსენებული უქვეშევრდომილესი მოხსენება ნამესტნიკისა.—იგი ამტკიცებს, რომ კავკასიის მთელი კრიზისი გამოწვეულია სწორედ ადმინისტრატიულ-პოლიციურის რეჟიმით, იმ სამმართველო სისტემით, რომელსაც ჰგონია, რომ ხალხის დაშინებით შეიძლება ქვეყნის მართვაო... ამიტომაც დაასკვნის რეფორმების საჭიროებას კავკასიისათვის. ვთქვათ, მთავარ რეფორმებს ცენტრალური მთავრობა აგვიანებს და აფერხებს, მაგრამ რით აიხსნება ის გარემოება, რომ იმ წესების გაუქმებასაც აგვიანებენ, რომელთა შემოღება-გადადება ადგილობრივ მმართველობის ხელშია? ხომ თვითონვე დაჰგმეს ძველი წეს-წყობილება და რეფორმების დაუყონებლივ შემოღების საჭიროება აღიარეს?!..

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 სექტემბერი

### ოსმალეთი

**სალონიკი.** სოფელ ბელანცის ახლო ალბანელები თავს დაესხნენ გილიასის მაზრის უფროსს. ალბანელებმა მაზრის უფროსს ერთი მახლობელი მოუკლეს. პრიშტინიდან და მიტროვიციდან ბელანცაში ჯარი გაიგზავნა. სოფელ სარაკინოვის ახლო ბოლგარელებმა მოჰკლეს რაზმის უფროსად ნამყოფი კოლიშანა.

### საზღვარ-გარედ.

**მადრიდი.** სამხედრო მინისტრის სიტყვით პადორში მდგომმა ესპანელების ჯარმა მავრებზე გაილაშქრა. ოფიციალურად გამოაცხადეს ესპანიის ჯარმა სულთანი დაიჭირაო.

**მელილია.** 14 სექტემბერს, დილის 11 საათიდან, მავრების მეთაურების სახლები იწვის. სახლებს ცეცხლი წაუკიდეს ესპანელების მომხრე მაროკოელებმა. მაროკოელები გარკიზე ჯავრს ყრილობენ. გარკიმ ესპანელების მომხრე მაროკოელების სახლები დაანგრია.

**ათინა.** მარსის ველზე ათინას და პირეის 90 კავშირმა, საზოგადოებამ და კორპორაციამ კრება გამართა. კრებას დაესწრო 7000 კაცზე მეტი. კრებამ პროტესტი განაცხადა ამ უკანასკნელ დროს მომხდარ ამბების გამო და დაადგინა მინისტრპრეზიდენტის ხელით მეფეს პეტიცია მიართვან. პეტიციაში მთავრობას წინადადებას მისცემენ საჭირო რეფორმები განახორციელოს. 7,000 კაცი მეფის სასახლისკენ გაემგზავრა და მეფეს პეტიცია გადასცეს. მეფემ კრებას პასუხი წერილით გასცა. მეფე, სხვათა შორის, სწერს: იმედი მაქვს, რომ ჩემი მთავრობა, რომელსაც ვენდობი, და დეპუტატთა პალატა თქვენს მოთხოვნებს სამართლიანად იცნობენ და შეეცდებიან საბერძნეთი ააყვავონ. კრება ალტაცებით მიეგება მეფის სიტყვებს.

**მადრიდი.** მინისტრთა საბჭომ დაადგინა მეფეს დასამტკიცებლად წარუდგინოს საბჭოს დადგენილება. ამ დადგენილებით პროვინციებში, გარდა ბარცელონისა და გირონისა, კონსტიტუციონური მართველობა უნდა აღადგინონ. ამას გარდა, ამ დადგენილებით დეპუტატთ მოიწვევენ და საგენერალო საბჭოების არჩევნები დაინიშნება 11 ოქტომბერს.

**პარიზი.** პოლ და პიერ ლებოდეებმა სამხედრო მინისტრს წინადადება მისცეს დაღუპულ ჰაეროსტატ „რეპუბლიკის" ნაცვლად სულ მოკლე ხანში ახალი დირიჟაბლს დავამზადებთო.

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატა. ვეკერლემ განაცხადა, სამინისტრო თავის 27 ივნისის დადგენილების ძალით სამსახურიდან დგება. მეფეს წინადადება მიეცა პალატის უმრავლესობის მეთაურ კოშუტს მიანდოს სამინისტროს შედგენა (მარცხნივ ტაში), რაზედაც მათმა უდიდებულესობამ თანხმობა განაცხადა.

**ვერსალი.** მიწას მიაბარეს ჰაეროსტატ „რეპიუბლიკ“-ზე დაღუპულების გვამები. დასაფლავებას, სხვათა შორის, დაესწრნენ რესპუბლიკის პრეზიდენტი ფალიერი, მინისტრები და სხვები. დაღუპულების გვამებს მისდევდა აფიცრობა. დასაფლავებას აუარებელი ხალხი დაესწრო.

### რ უ ს ე თ ი

**სარატოვი.** ბალაშოვში დაიწვა ქალთა ადგილობრივ მონასტრის ორთქლის წისქვილი და 12,000 ფუთი ხორბალი. დაიწვა 5 მუშა. ზარალი 300,000 მანეთს უდრის.

კუზნეცოვის მაზრაში დაიწვა 56 სახლი. დაშავდა 3 კაცი, ერთი უკვე გარდაიცვალა.

**პავლოგრადი.** სოფელ როჟდესტვენსკაიაში დაიწვა 45 სახლი და წრევანდელი მოსავალი.

**ასტრახანი.** დილის 11 საათზე რამდენიმე ბოროტგანმზრახველი თავს დაეცა სახაზინო არყის დუქნის მეარტელეს. ბოროტგანმზრახველებმა გაიტაცეს 6850 მანეთი და მიიმალნენ.

**პეტერბურგი.** სამხედრო ოლქის სასამართლომ დაიწყო გარჩევა პარტია „ვოლა“-ს სამხედრო ორგანიზაციის 38 წევრისა. ამათ ბრალდებათ აწ არსებულ წესწყობილების საწინააღმდეგო მოქმედება. საქმის გარჩევა რამდენიმე დღეს გასტანს.

**ვილნო.** სამხედრო ოლქის სასამართლომ დაამთავრა 6 კაცის საქმე. ამათ ბრალდებოდათ ბეზდანაში ფოსტის გაცარცვა. სასამართლომ გადაუწყვიტა: 3 სიკვდილით დასჯა, 2 შვიდ-შვიდი წლით და ვრთა ოთხი წლით კატორგა.

**ვარშავა.** პირადის ინტერესებით მოჰკლეს მუშა და მისი საყვარელი. შემთხვევით დაიჭრა სამი ბავშვი.

**პეტერბურგი.** დღეს, 16 სექტემბერს, გაფრინდნენ ჰაეროსტატები „ლებედი“ და „უჩებნი“. ჰაეროსტატები 30 ვერს გაფრინდნენ. „ლებედი“ 500 მეტრის სიმაღლეზე ავიდა და ჰაერში ერთი საათი და ათი წუთი დაჰყო, „უჩებნი“—800 მეტრის სიმაღლეზე და „ლებედზე“ ცოტა მეტი იფრინა.

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ავად გახდა 38, გარდაიცვალა 38, ავად არის 363 კაცი.

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ამომრჩეველნი და კახეთის რკინის გზა.** სამშაბათს, 15 სექტემბერს, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლის თანამდებობის დროებით აღმასრულებელის თავ. თუმანიშვილის თავმჯდომარეობით მოხდა კრება გუბერნიის თავად-აზნაურებისა. უნდა აერჩიათ სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩევლები. დაასახელეს რამდენიმე კაცი. ყუთი დაიდგა მარტო ორმა კაცმა გუბერნიის მარშალმა თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილმა და მიხ. ვ. მაჩაბელმა. პირველს ამოუვიდა 38 თეთრი და 8 შავი კენჭი, მეორეს—37 თეთრი და 8 შავი. ამომრჩევლებს კრებამ სამგზავროდ დაუნიშნა დღე-ღამეში 25 მან. და იქით და აქეთ 1 კლასის ბილეთის ფული. ამომრჩევლები პეტერბურგს წავლენ სექტემბრის ბოლო რიცხვებში, შემდეგ კრებამ მოისმინა წერილი წ.-კითხვის საზოგადოების მთავარ გამგეობისა. გამგეობამ მოაგონა თავ.-აზნაურობას, რომ მან ილია ჭავჭავაძის ძეგლისთვის დახმარება აღუთქვა და ითხოვა ეს ფული, რადგანაც ძეგლის გამკეთებელს ხელშეკრულებით 1500 მან. უნდა გაეგზავნოს. კრებამ ერთხმად დაადგინა, დაავალოს დეპუტატთა საკრებულოს, გადასცეს საზოგადოებას 1000 მან. ამის შემდეგ კრება ოფიციალურად დაიხურა და გაიმართა კერძო თათბირი კახეთის რკანის გზის გამოკვლევის შედეგის შესახებ. ინჟინერმა ანდრიანოვმა მოკლედ გააცნო დამსწრეთ გზის გამოკვლევის საქმე, დამგეგმელ კომისიის მუშაობა. ახლო მომავალში გუბერნიის თავ.-აზნაურობა ოფიციალურ კრებას გამართავს და მოისმენს მოხსენებას გზის გამოკვლევის შესახებ.

✦ **ამომრჩეველნი ქუთაისის გუბერნიიდან.** ქუთაისის გუბ. თავ.-აზნაურობამ სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩევლად აირჩია თავ. ანდრია ერისთავი და დავით ნიჟარაძე.

✦ **თეატრის საქმეები.** 15 სექტემბერს მოხდა სხდომა ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობისა. გამგეობამ მოისმინა თხოვნა რეჟისორად ნამყოფის ვ. შალიკაშვილისა დახმარების შესახებ. შალიკაშვილი უკვე წავიდა სარეჟისორო კურსებზე. გამგეობამ დაადგინა, შალიკაშვილი თავის ხარჯით გაეგზავნოს მოსკოვში. ქართულ თეატრის ადმინისტრატორად გამგეობამ დაამტკიცა ვ. გუნია. რადგან საქმეები გართულდა, ლაპარაკი ჩამოაგდეს გამგეობის სექციებად დაყოფვისა და საქმეთა განაწილების შესახებ. გამგეობამ საჭიროდ დაინახა სამი სექციის შექმნა. პირველ სექციაში მოჰყვნენ პ. ა. გოთუა, ნ. დ. ერისთავი და ალ. ნანობაშვილი. ამავე სექციაში თავადაზნაურობის მხრით იქმნებიან კ. მაყაშვილი, ვეზირიშვილი და თულაშვილი. პირველ სექციას დაევალა თეატრის მართვა-გამგეობა. მეორე სექციას მიენდო დრამატიულ დასის საქმეების წარმოება. ამ სექციაში მოჰყვნენ ალ. გ. ჯაბადარი, ექ. კილოსანიძე, ნ. ერისთავი და ალ. ნანობაშვილი; მესამე სექციამ უნდა განაგოს რეპერტუარის საქმე. სექციაში არიან: კ. მ ყაშვილი, ივ. გომართელი და დ. ნახუცრიშვილი. ლაპარაკი იყო აგრეთვე რეჟისორის მოწვევის შესახებ. გამგეობამ დაადგინა, მიიწვიოს რამდენიმე რეჟისორი, რომელნიც მორიგეობით იმუშავებენ, ისტორიულ და ევროპიულ პიესების წარმოდგენებს რეჟისორობას გაუწევს კ. ს. მესხი, კომედია-ფარსებს—ვ. აბაშიძე, ორიგინალურ პიესებს ბ ნი შათირიშვილი და სხვ. დრამატიულ საზოგადოების ბიბლიოთეკის გამგედ და საქმის მწარმოებლად არჩეულ იქმნა იოს. იმედაშვილი. დასასრულ, გამგეობამ ითათბირა ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის 25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად საიუბილეო წარმოდგენის გამართვის შესახებ. გამგეობამ დაადგინა, გადაიხადოს საიუბილეო დღესასწაული. იუბილეი გაიმართება ნოემბრის პირველ რიცხვებში. იუბილეის გამმართველ კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ალ. პ. სარაჯიშვილი.

✦ **მოლაპარაკება.** 16 სექტემბერს გათენებისას მოხდა თათბირი ტფ. ტრამვაის მოხელე-მოსამსახურეთა და საზოგადოების წარმომადგენელთა ტფ. პოლიცმეისტრის თანადასწრებით. უნდა შეთანხმებულიყვნენ ზოგიერთ საკითხის შესახებ. როგორც ვწერდით, უსახელო საზოგადოების დირექციამ განიზრახა გაეუქმებინა მოხელე-მოსამსახურეთა ზოგიერთი უფლებანი. დირექციამ გაიმეორა თავისი წინანდელი წინადადება. კარგა ხანს კამათის შემდეგ დირექციამ თანხმობა გამოაცხადა დარჩეს ის პირობები, რომელიც აქამდე იყო. მოხელეებმა კიდევ უკან წაიღეს თავიანთი წინადადება ტანისამოსის შესახებ და დაადგინეს, რომ საზამთრო ტანისამოსი ორ წელიწადში ერთხელ შეიკეროს კონდუქტორებისა, ვატმანებისა და სხვებისთვის. კრებამ დამატებით აირჩია კომისიის წევრები და დაავალა, შეთანხმებას შესაფერისი ფორმა მისცეს.

✦ **ი. სულხანიშვილის გარდაცვალება.** გუშინ წინ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ტფ. ქალაქის საბჭოში 8 წლის განმავლობაში ხმოსნად ნამყოფი და ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების თავმჯდომარე ი. ა. სულხანიშვილი. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, პატივი სცეს განსვენებულის ხსოვნას დაკრძალვაზე დასწრებით და კუბო გვირგვინით შეამკოს.

✦ **პირველ სექციის სხდომა.** ერობის შესახებ პირველი სექცია განაგრძობს სხდომას დღეს, 17 სექტემბერს, ტფ. გამგეობის დარბაზში.

✦ **ახალი საბლალოჩინო.** სასულიერო მთავრობას აზრადა აქვს, თუშეთში და პანკისის ხეობაში განსაკუთრებული ბლალოჩინი დანიშნოს („ზ.“).

✦ **პოლიტიკური საქმე.** ქუთაისში ტფ. სამ. პალატის სესსიას განუხილავს საქმე ნიკ. არგვლიანისა, თავ. თენგიზ დადეშქელიანისა და ალექსი კვიციანისა, რომელთაც ჰბრალდებათ 1905 წლის რევოლიუციონურ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება სვანეთში. სასამართლომ გადაუწყვიტა დაპატიმრება: არგვლიანს—1 ნახ. წლით და კვიციანს—1 წლით. თავ. თენგის დადიშქელანს ჰბრალდება მოძრაობის მეთაურობა, მისი საქმე გამოუყვიათ და გადაუდვიათ. (ზ.)

✦ **წინამძღვარიანთ კარის სკოლა.** როგორც გავიგეთ, ილია წინამძღვარიშვილს გადაუწყვეტია, ისევ გახსნას პირველდაწყებითი განყოფილებანი წინამძღვარიანთ-კარის სკოლაში. საჭიროა როგორმე იაფი პანსიონიც მოეწყოს სხვა კუთხიდან მოსულ მოსწავლეთათვის, ფორემ ზოგიერთი ბავშვები ბინას ვერა პოულობენ. არიან კიდეც თურმე მსურველნი პანსიონის გახსნისა.

✦ **„მოსავალი“.** მოგვივიდა სამეურნეო ჟურნალის „მოსავალის“ მეცხრე ნომერი. ამ ნომერში, სხვათა შორის, მოთავსებულია წერილი პროფესორის ფორტუნატოვისა: „სახნავ-სათესის რაოდენობა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში.“

✦ **უფროსს ექიმის ადგილი.** ექიმმა მიხ. გედევანიშვილმა განცხადება შეიტანა ტფ. ქალაქის გამგეობაში და ითხოვა არამიანცის სახელობის საავადმყოფოს უფროს ექიმის თანამდებობა. როგორც ვიცით ქალაქის გამგეობამ ამ თანამდებობაზე კონკურსი გამართა.

✦ **ახალი რუსული წიგნი.** ჩვენმა რედაქციამ მიიღო შემდეგი რუსული წიგნი: „Имамтъ, страна поклонниковъ имамовъ“. ისტორიული გამოკვლევა ატრიეტისა. წიგნი გამოცემულია ალექსანდროპოლში, დასურათებულია და ღირს 1 მან.

✦ **მოსწავლეთა ნორმის გადიდება.** 15 სექტემბერს სხდომაზე ტფ. ქალაქის სასწავლებელთა კომისიამ, სხვათა შორის, განიხილა მოხსენება კომისიის წევრის, მასწავლებელ ბეგლიაროვისა. ბეგლიაროვი თავის მოხსენებაში ამბობს, რომ ქალაქის პირველდაწყებით სკოლებს დიდძალი ახალგაზდობა აწყდება, მაგრამ უადგილობის გამო მრავალი სკოლის გარეშე დარჩა. კლასში იღებენ 30-40 ბავშვს. ცოტათი მაინც რომ მოთხოვნილება დავაკმაყოფილოთ, სასურველია მოსწავლეთა რიცხვი პირველ კლასში 50-მდე ავიყვანოთო. კომისიამ დაადგინა, შეეკითხოს სკოლების გამგეებს, სკოლათა სადგომები და მოწყობილება ხელს შეუწყობს თუ არა, რომ მოსწავლეთა რიცხვი 50-მდე იქნას აყვანილი. სადაც ბინა იქნება საკმაო, განზრახვა აქვს კომისიას მოსწავლეთა რიცხვი აღნიშნულ ნორმამდე აიყვანოს.

✦ **ტრამვაი.** ტრამვაის მოსამსახურეებსა და დირექციას შორის დამოკიდებულება თანდათან მწვავდება. მოლაპარაკებიდან არა გამოდის რა. ამიტომ მოსამსახურეებმა საერთო კრების გამართვის ნებართვა აიღეს ადმინისტრაციისაგან. ამ კრებამ უნდა განიხილოს ტრამვაის ადმინისტრაციის მიერ წამოყენებული ახალი პირობები. ტრამვაის დირექცია კი წინააღმდეგია ასეთ კრებისა და არ აძლევს მოსამსახურეებს უფლებას შეიკრიბნენ ტრამვაის სასადილოში. ეს მესამე დღეა, რაც მოჰყავთ სხვადასხვა პირები და ვაგონებზე მუშაობას ასწავლიან. ალბად, ფიქრობენ, თუ ვინიცობაა, ტრამვაის მოსამსახურენი ვერ შეთანხმდნენ დირექციასთან, მუშაობაზე ესენიც გამოდგებიანო („მ.“).

✦ **მამულის გადასვლა თავ.-აზნაურობის ხელში.** როგორც გადმოგვცეს, დიდი და ძვირფასი მამული თავ. ორბელიანისა კუმისში (ტფილისიდან 25 ვერსზე) გადადის თავ-აზნაურობის ხელში.

✦ **კრება არ შესდგა.** ფოთში უნდა მომხდარიყო სამღვდელოების კრება სახელმწიფო საბჭოს წევრის

# მარიამი, უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი

(შემდეგი *)

გამეფდა თუ არა გიორგი, საჭიროდ დაინახა სამეფოში ჯეროვანის სიმშვიდის ჩამოსაგდებად და საზღვრების დასაცველად ლეკთა ჯარის დაქირავება. ჯარში ითვლებოდა 4000 კაცი. ტფილისში იდგა და მეფისაგან ეძლეოდათ საჭმელ-სასმელი, ტანისამოსი და 30 მანეთი ჯამაგირი. ბატონიშვილებმა იულონმა და ალექსანდრემ მოინდომეს ლეკების ბელადის მურადის და მისი ჯარის შესყიდვა და მეფის ღალატი. ბატონიშვილს მირიანს კიდევ განძრახვა ჰქონდა კახეთის აჯანყება, გიორგის ტახტიდან ჩამოგდება და იულონის მეფედ დასმა. მაგრამ ლეკების ბელადი მოუსყიდავი გამოდგა და ყველაფერი მეფეს მოახსენა. მეფე საშინლად განრისხდა, ესეც დედოფლის საქმედ ჩასთვალა და ბრძანება გასცა, დაეპატიმრებინათ ასეთის ღალატისათვის. მაგრამ განრისხებულმა მეფემ თავი შეიკავა და ესლა შეუთვალა არსენ თბილელის პირით: „კმარა! დააწყნაროს ღელვა შფოთისა, ნუ გამომიყვანს მოთმინებიდან, შეიბრალოს ქვეყანა და ქრისტიანობა“[1]). დედოფალმა, რომელსაც უკვე გაეგო მრისხანება მეფისა, ბოდიში მოიხადა და სთხოვა, მიუჩინოს საცხოვრებელი მასა და მის შვილებსა. მეფემ იულონს შეუთვალა კათალიკოსის პირით, ნუ მიმიყვანს იქამდის, რომ სპარსთა და მეფეთა უფლებით დათხარო თვალებიო. ამის პასუხად მეფის ძმებმა საქართველოს აკლებასა და ხალხის ამბოხებას უმატეს. საწყალი ხალხი მთელ ამ დროს განმავლობაში საშინლად იბეგრებოდა. ჯერ კიდევ ალა-მაჰმად-ხანის აოხრების კვალი არ წაშლილიყო, ხალხს თავისუფლად ვერ ამოესუნთქა და წელში ვერ გასწორებულიყო, რომ უფრო უარესი დღე ადგებოდა. ცალკე ბატონიშვილნი აწუხებდნენ, ცალკე თავად-აზნაურობა და ცალკე მეფე და მოხელენი. ხალხი გაშტერებული იყო და ვერ გაეგო, ვინ იყო მისი ბატონი და ვინ არა; ყველა, ვისაც რამე ძალა შესწევდა და რამე ბარათის ნახევი ეჭირა, სტანჯავდა ხალხს. იმ სარჩო საბადებელს, რასაც ზაფხულში შეიტანდა სახლში, ერთს მშვენიერს დღეს წაართმევდენ რომელიმე ბატონიშვილისა ან დიდებულისაგან მიცემულის ბარათის ძალით, ქალაქში მოიტანდა კიდევ და იქაც იგივე დღე ემართებოდა[2]), პატარა ბარათის ნაგლეჯის წყალობით ვისიმე სასარგებლოდ წაართმევდნენ და ცარიელს გამოისტუმრებდნენ. ყოველი ბატონიშვილი, ყოველი ნათესავი სამეფო სახლისა უხვად იძლეოდნენ ბარათებს, რომლის ძალითაც შეეძლოთ წაერთმიათ გლეხისთვის ან ვაჭრისათვის, რაც კი მოეძებნებოდა. თავად-აზნაურობა და უმეტესად ბატონიშვილები ისეთნაირად აწიოკებდნენ გლეხ-კაცობას, რომ იგი მოხარული იყო სხვაგან სადმე გადასახლებულიყო, ვიდრე ამ ყოფაში დარჩენილიყოო, ამბობს დუბროვინი[3]). თუ სადამდის მიდიოდა ბატონიშვილთა აღვირწახსნილი მოქმედება, ეს ნათლადა სჩანს ერთის წერილიდან, რომელიც მეფეს მიუწერნია გორის ამილახვრისათვის და რომელიც ბატონიშვილს ფარნაოზს შეეხება. წერილი იმდენად საინტერესოა, რომ არ შეგვიძლიან აქ სავსებით არ მივიყვანოთ.

„მერე შენი წერილი მოგვივიდა, ფარნაოზისაგან სოფლების შეწუხება და წართმევა მოგვეწერა და ეგრეთვე გორში მისვლა და გორელების მუქარის მოთხოვნა. იმ დღესაც მოგწერეთ და ახლაც ამასა გწერთ, თუ ან ჩვენი ბატონ-ყმობა გინდა და ან ჩვენი ერთგული ხარ, ეხლა გამოგიჩნდება, რომ არც ფარნაოზი შეუშვა გორში და არც ფარნაოზის კაცნი და არც არა დაანებო გორიდან; თუ ან ფარნაოზ და ან ფარნაოზის კაცნი გორში შეგიშვია, ჩვენს ბატონ-ყმობაზე და ჩვენს ერთგულებაზე ხელ-აღებული იქნები. ფარნაოზის კაცებს ნურაფრით ნუ დაზოგავ, დასტური გაქვს ჯოხით, კეტით, ქვით და იარაღით, თოფით, ხმლით, დამბაჩით, ნურასფრით ნუ დაზოგავ და ნურც შეუშვებ და თუ რომ დაიჭერ და დაჭერილს გამომიგზავნი და ხელში ჩაიგდებ, ისა სჯობს. რომელიც უნდა იყოს მანდ გორში მოსული კაცი და ერთის ფულისა არა დაანებოთ რა,—ასე უნდა იცოდე..

„გორის მამასახლისო და გორელებო! ამ საქმეზედ, თუ ამილახვარს არ ეთანხმებით და ფარნაოზის კაცების შემოშვებასა და ავად მოპყრობაზედ არ დაემორჩილებით, ჩვენი მოსისხლენიც იქნებით და კიდეც გადაგახდევინებთ; ნუ ცრუობთ და ნურც ალამ-ყალამობთ, სწორეს პირით და სწორეს გულით მოიქეცით და ამილახვარს უქომაგეთ ამ საქმეზედ; და ამილახვარო შენი, რომ მოგვეწერა, ნულარ წამოხვალ და მაგ ქვეყანას მოუარე...[4])

თუ მარტო ფარნაოზი ასეთს ოინებს ჩადიოდა თავისს კაცებით, რომელთა წინააღმდეგ არაფერი არ უნდა დაეშურნათ და რაც კი მოხვდებოდათ ხელში—კეტი, თოფი, ქვა თუ დამბაჩა,—უნდა ეცხლიშათ თავში, ადვილი წარმოსადგენია, რასაც ჩაიდენდნენ სხვა ბატონიშვილნი, რომელთაც მეტი ძალა და ღონე შესწევდათ.

მაგრამ ფარნაოზის თავგასულობა ამითი არა თავდებოდა. სურამის ციხეში გამაგრებული, მოსვენებას არავის აძლევდა, თავისს თავს მეფეს უწოდებდა და ბეჭედიც მოაჭრევინა თავისსა და თავის მეუღლის სახელწოდებით: „მეფე ფარნაოზი“, „დედოფალი ანნა“. აღვირწახსნილ ბატონიშვილის მოსაჰკვიანებლად მეფე იძულებული იყო გაეგზავნა ჯარით თავისი შვილი დავითი და იოანე, რომელთაც დაბარებული ჰქონდათ, თუ ვინიცობაა მორჩილებას არ განაცხადებდა ფარნაოზი, უნდა აეღოთ ციხე, გამოეყვანათ ფარნაოზი და თვალები დაეთხარნათ. სურამში მოსულმა ბატონიშვილებმა შეუგზავნეს დავით ამირეჯიბი, რომელმაც გადასცა მეფის სურვილი. ფარნაოზი შეშინდა და დამორჩილდა.

აი კიდევ როგორ ახასიათებს ერთი თანამედროვე, გიორგი ბარათაშვილი, იმ დროს: „ძმები მეფისანი და მხლებელნი მათნი შფოთავდნენ, ძრწოდნენ და არა სცხრებოდნენ. სამგლე გოჭივით ატეხილი იყო დიდი და პატარა! მართლად იტყვიან: ღმერთი რომ კაცს გაუწყრება, პირველად ჭკუას წაართმევს, და იმ დროს არავინ იყო რიგიანი, აღარც სარდალი, აღარც სახლთ-ხუცესი, აღარც მწერალი და არც მღვდელმთავარი..“

ასე იყო არეული და აწეწილ-დაწეწილი ქვეყანა. საჭირო იყო მაგარის ხასიათისა, ენერგიისა და ცოდნის პატრონი ადამიანი, რომ სახელმწიფოს მოშლილი მეხანიზმი სავსებით განეახლებინა, აელაგმა ბატონიშვილების თავგასულობა და სიმშვიდე და სათნოება ჩამოეგდო სამეფოში. საუბედუროდ, გიორგის არ შესწევდა არც ერთი და არც მეორე. ბუნებით მშვიდი, კეთილი და ღვთის მოშიში, იგი ვერ შესძლებდა ესოდენ აწეწილ-დაწეწილ სამეფოს დამშვიდებას. ბუნებამ თითქოს განგებ მოუვლინა ასეთი მეფე საბრალო საქართველოს, რომელიც (მეფე) უფრო მშვიდ ბერულ ცხოვრებისათვის იყო გამოსადეგი, ვიდრე სამეფო ტახტისათვის. აშკარა იყო ყველასათვის, რომ საქართველოს აწეწილ-დაწეწილ საქმეებს ის ვერ მოუვლიდა და იმ მოლიპულ გზაზე, რომელზედაც საქართველო მიექანებოდა, უფრო მოუჩქარებდა მსვლელობას, არა თუ შეაყენებდა. საჭირო იყო ვისიმე გარეშე ძალის ჩარევა და აკი გიორგიც თავისს მამა ერეკლესავით ცის მანანასავით მოელოდა ამ გარეშე ძალას. დღე მუდამ ჩრდილოეთისაკენ გაიცქირებოდა და იქა ჰხედავდა თავისს ამომავალს მზეს. ტახტზე ასვლისათანავე გაჰგზავნა ელჩად რუსეთში პეტერბურგში უკვე რამდენჯერმე ნამყოფი გარსევან ჭავჭავაძე, იმპერატორ პავლე პირველთან, რომელსაც, აცნობებდა რა თავისს ასვლას სამეფო ტახტზე, სთხოვდა მფარველობას და შემწეობას საქართველოსათვის და თავისის პირმშო შვილის მემკვიდრედ დამტკიცებას. მეფისთვის საჭირო იყო ერთხელვე გადაჭრილი პასუხი და ფაქტიური დახმარება, ურომლისოდაც სახელმწიფო იღუპებოდა და მეზობელ სახანოების ლუკმა ხდებოდა. გიორგის გადაწყვეტილი ჰქონდა, თუ პეტერბურგში მისი ელჩი ვერაფერს გახდებოდა, მაშინ სხვა ძლიერ სახელმწიფოსათვის მიემართნა. მაგრამ პეტერბურგში საქმის გადაწყვეტამ არ დაიგვიანა. ამ დროს ხმა გავრცელდა, რომ სპარსეთი კიდევ აპირებს საქართველოში შემოსევასაო და პეტერბურგის კაბინეტმაც ამის გამო ჩვეულებრივს ზონზილს თავი დაანება და საჩქაროდ გადასწყვიტა საკითხი. იმპერატორმა გიორგის თხოვნა შეიწყნარა, მემკვიდრედ დავითი დაამტკიცა და საქართველოს ჯარი გამოუგზავნა გენერალის ლაზარევის სახელობით და საერთა-შორისო საქმეებისათვის კარის მინისტრი დანიშნა, გვარად კოვალენსკი.

1799 წელს ოქტომბერში რუსეთის ჯარი უკვე ტფილისში შემოვიდა. მეფე გიორგი გახარებული ამალით ქალაქ გარედ დაუხვდა ჯარსა. გამოცხადებულ იქმნა მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთებაზე, რომელშიაც, სხვათა შორის, მეფე გიორგი აღიარებული იყო მეფედ და პირმშო შვილი მისი დავითი მემკვიდრედ. ბევრს უხაროდა რუსეთის შემოსვლა, მაგრამ დარეჯანი და მისი შვილები განზედ იდგნენ და არაფერს მონაწილეობას არ იღებდნენ მხიარულობაში. იმპერატორის მიერ ბატონიშვილის დავითის მემკვიდრედ აღიარებამ იმათ ელდა სცა და მწუხარებასა და საფიქრებელში ჩააგდო ისინი. თუმცა გიორგი ძმებსა და დედოფალსა მტრობდა, წაართვა დედოფალს მამული და ყმა და ბატონიშვილთ არ აკლებდა მრისხანებას, მაგრამ ყველა ამას დროებითად სთვლიდნენ, გიორგის დიდი დღეები არა ჰქონდა და ეგონათ გიორგისთან ერთად სამარეში ჩავა ყველა ეს უსიამოვნება და ახლად გამეფებული იულონი ჯეროვანის პატივით მოეპყრობა ყველასაო. მაგრამ საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა, გიორგიმ უმტყუნა თავისს მიერ ორგზით ხელმოწერილსა და შემოწმებულს ირაკლი მეფის ანდერძს, როგორც არა ერთხელ იმეორებს თავისს წერილებში დარეჯან დედოფალი და ტახტის მემკვიდრედ თავისი შვილი დავითი გამოაცხადა.

ბატონიშვილებსა და დარეჯანს მოთმინების ფიალა აევსოთ, მაგრამ საქმეს მაინც წაგებულად არა სთვლიდნენ და მხნედ შეუდგნენ მუშაობას. მათ უნდოდათ აესიენათ გარეშე მეზობლები და შიგ საქართველოშიაც ამბოხება მოეხდინათ და ეთქვათ რუსეთის მთავრობისათვის, რომ მიზეზი არეულობისა ის არის, რომ მეფე გიორგიმ მემკვიდრეობითი წეს-რიგი დაარღვიაო, ალადგი-

*) იხ. „დროება“, N 204.

[1]) იხ. „ცხოვრება მეფე გიორგისა XIII“, ქლ. იოსელიანისა.

[3]) „Закавказье 1801—1806 г.“, Дубровина.

[2]) „Обозрѣніе грузіи“, Лазарева.

[4]) იხ. „Акты Кавказской археогр. ком. т. 1, ст. 153.

ამომრჩევლის ასარჩევად. კრება არ შესდგა, რადგან არ გამოცხადდა საკმაო რიცხვი ამრჩევლებისა. კრების შესახებ ცნობა ძალიან გვიან მიუღიათ. დაინიშნა ახალი კრება.

◆ **ნავთის შადრევანი**. ბაქოში, რომანაში, მოსკოვ-კავკასიის საზოგადოების სამრეწველოში ამოუხეთქია ნავთის დიდ შადრევანს. შადრევანი დღე-ღამეში ხუთასი ათას ფუთ ნავთს ისვრის თურმე. გარეშემო ადგილები სულ ნავთით გავსებულა. მაზუთის ფასი ძალზე დაცემულა.

◆ **პატიება**. 1902 წელს ვასილ ალექ. ჩიქოვანისთვის გადაუწყვეტიათ ოთხი წლით კატორგა და მერე ციმბირში დასახლება. რუსეთ-იაპონიის ომში ჩიქოვანს მხურვალე მონაწილეობა მიუღია. ამის გამო ადგილობრივ მთავრობის შუამდგომლობით, ხელმწიფეს ჩიქოვანისთვის სასჯელი უპატიებია და ნება მიუცია სამშობლოში დაბრუნებისა.

◆ **ტუსაღების შეჩერება**. რადგან ენისეის გუბერნიაში გზები შეიკრა, ის ტუსაღები კავკასიიდან, რომელნიც 1 ოქტომბერს უნდა გაეგზავნათ, შეაჩერეს 1 ნოემბრამდე. ამ ტუსაღებს სხვა გუბერნიებში ჰგზავნიან.

◆ **სპეციალისტი**. კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შუამდგომლობით, მიწათ-მოქმედების სამინისტრო კავკასიაში ნიშნავს სპეციალისტ ინსტრუქტორს, მიწათმოქმედებს საქმის მცოდნეს.

◆ **სახალხო წარმოდგენა**. დღეს, 17 სექტემბერს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში ქართული სექცია მართავს სახალხო წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება შექსპირის პიესა „ჭირვეული ცოლის მორჯულება". სცენის მოყვარეთა გარდა მონაწილეობას იღებენ არტისტები კ. მესხი და გ. გედევანოვი.

◆ **განყოფილება**. კავკასიის სომხურმა საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, სიღნაღის მაზრის სოფელ თუქურმიშაში თავისი განყოფილება გახსნას. იქაურ სომხებს, თვითონ აღუძრავთ შუამდგომლობა განყოფილების გახსნის შესახებ.

◆ **შუამდგომლობა** ტფ. ქალაქის გამგეობამ ხელახლა შუამდგომლობა აღსძრა ტფ. გენერალ-გუბერნატორის წინაშე პუშკინის ბაღის გაღების შესახებ.

◆ **ოპერის სეზონის დაწყება**. დღეს იწყება ოპერის სეზონი სახაზინო თეატრში. წარმოადგენენ გლინკას ოპერას „ჟიზნ ზა ცარია".

◆ **დღესთვის** 7½ საათზედ, ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის სადგომში დანიშნულია სხდომა „ახალ კლუბის" მამასახლისთა საბჭოსი, რომელმაც, სხვათა შორის, უნდა განიხილოს საკითხი კლუბისათვის სადგომის დაქირავების შესახებ.

—

**შეცდომის. გასწორება**. გრ. რობაქიძის ფელეტონში (№ 202) მესამე სვეტში შეცდომა შეპარულა. იქ. სადაც კონცეპტუალიზმის განსაზღვრაა, დაბეჭდილია; არსებობს ზოგადი სხეული „ერი"; უნდა იყოს: არსებობს ზოგადი ცნება „ეროვნება" და არა ზოგადი სხეული „ერი".

# მოწერილი ამბები

**გელათი**. 8 ენკენისთვეს გელათის მონასტრის დღეობას დავესწარ. ქუთაისიდან ამ დღეს დილიდან-საღამომდის რამდენიმე მატარებელი იყო დანიშნული. დილითვე აუარებელი ხალხი მოაწყდა ქუთაისის სადგურს, ყველანი მლოცველები იყვნენ. მატარებელი გელათის მონასტრისკენ აღმართზე მიდის და ამიტომ ალაგ-ალაგ მეტად ნელა მიბობღავს, ასე რომ მგზავრს მშვენივრად შეუძლიან დაათვალიეროს ამ დიანდაგის ორივე მხარე. ადგილები, რომ კაცმა სთქვას, მაინცა და მაინც ბევრი არაფერი სანახავია, მით უმეტეს ამ „უღვთო წელიწადში", როდესაც მუდამ მწვანე და მობიბინე ველმინდვრებიც კი დამწვარ-დანახშირებულ პეიზაჟად გეშლებათ თვალწინ. ასეთი იყო მიდამო ქუთაისიდან მოკიდებული მდ. წყალწითელამდის. აქ კი ცოტა თვალი გამიმხიარულდა, როდესაც ამ მდინარეს ნაპირებს გადავხედე. თუმცა კვლავინდებური სიმინდები აქაც არ მოსულა და წრევანდელ სიცხეებს ძალიან დაუკრავს, მაგრამ სიმინდები დედამიწას მაინც კარგა ასცილებიყო და ჯერეთ მწვანეს ტარო ეტყობოდა. როგორც მგზავრებმა ამიხსნეს, ამ მინდვრებს ბევრგან სარწყავი რუები უდგება და ამან უშველა ხალხსაო.

ამ მდინარის შემდეგ იწყება ისეთი კლდე-ღრე, რომ ეშმაკი თუ სადმე მოიტეხს ფეხს, სწორედ აქ. ამ კლდე-ღრეში მოსჩანს მოწამეთის მონასტერი. რომ ჭხედავთ აქაობას, გეგონებათ, რადაც უზარმაზარი შენობა ან მთა დანგრეულა და უშველებელი ლოდები და წვრილი ხურდა ერთმანეთში არეულაო.

გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო. მიწის სიძვირეს ეს ღვთისგან დაწყევლილი ადგილებიც სამუშაოდ გაუხდია ადამიანებისთვის. ხშირ ლოდებს შუა მოსჩანს, არ ვიცი, ბარებით თუ კავით დახნული და დათესილი კალოს ოდენა ადგილები, სადაც წრეულს სიცხე-პაპანაქებისაგან ჩახარშულ-ჩამწვარა მოსავალი. ორგან-სამგან ასე გაწმენდილი და დამუშავებული ადგილი ისეთ ამოღრმავებულში იყო, რომ ეჭვი დამებადა, ხომ არ წარმოადგენენ ისინი ამსილ კრატერებს. ჩემმა თანამგზავრებმა ამაზე პასუხი ვერ მომცეს.

ასეთი სიძვირე მიწებისა და ასე თითო ბოხჩა ადგილების დამუშავება შემხვედრია მხოლოდ დაღესტანში. დ. ბოტლიხის, კარადაღის და თვით გუნიბის არე-მარეებში შეჰხვდებით ისეთ დათესილ ადგილებს, რომელსაც კაცი სიგანით და სიგძით გადაახტება. ამის მნახველს გიკვირს, როგორ სწერენ, ამბობენ და ანხარცელებენ კიდეც ჩვენში რუსეთიდან გადმოსახლებას. მიწის სიძვირე და სივიწროვე ამაზე მეტი აღარ შეიძლება. კაცს უღელ ხარიანი კაცი ვერ მოუტრიალდებაო და ბარი და წერაქვი გაუხდია სახნავ იარაღად. მაგრამ ნათქვამია: ვინც მივიდა ჭფქვავდაო, ვინც არა, ჯერს კითხულობდაო. ეპატრონოთ დატოვებული ერთ ქვასა და კლდეს ალევს თავის ჯანსა და ღონეს, მისი მამაპაპეული მიწაწყალი კი ურიგდება სხვას, იყიდება სხვაზე...

გელათს რომ მივატანეთ, სანახაობა შეიცვალა. მთელი გელათის ფერდობები (თვითონ გელათი მაღლობზეა აშენებული) ვენახ-ბაღებით არის დაფენილი. მთებზე ტყეები მოსჩანს და მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენს. გელათის სადგურიდან მონასტრისკენ დიდძალი ხალხი გაემგზავრა ფეხით. სადგურთან რამდენიმე ლინეიკა იდგა. ეს ამოდენა მრავალფერადოვანათ ჩაცმული მლოცველი შეეფინა გელათის დაკლაკნილ გზას და ნელის ნაბიჯით მიიწევდა ზემოდ. მზე ძალიან აცხუნებდა და „ცივას" ძახილი ხშირად ისმოდა გზაზე.

მლოცველები მომეტებული ნაწილი ახალგაზდობა იყო. ვერა ვნახე ჩვენში ჩვეულებრივი ფეხშიშველა თეთრებში ჩაცმულნი შეთქმულნი. ალბად გადავარდნილან ასეთი მლოცავები.

ჩვენს ასვლისას წირვა გამოსული იყო და პარაკლისს იხდიდა კრებული. ხალხი შემოვიდა დიდ ტალღასავით გალავანში, დაჰყო ცოტა ხანს და გაბრუნდა უკან. მე ეს ძალიან მეუცხოვა. თურმე მონასტრის ახლო დროს სტარებლად დარჩენა არ იქნება. დაბრუნებისას, ვხედავ, ხალხი მინდორში, ბაღებში დამსხდარიყო და დროს ატარებდა. არსად ღხინი, არსად ჩვენებური გასართობი და ჭიდაობა, არსად არღნები, დუდუკი და ზურნა. კაცმა რომ სთქვას, ასე სჯობდა კიდეც, რადგან იმდენი სტრაჟნიკ-პოლიციელები მოერეკათ ამ დღეობაზე, რომ თქვენი მტერი, რაიმე უპრალო მიზეზი მისცემოდათ ხალხის ჭკვაზე დაყენებისა—უბედურება დატრიალდებოდა.

მონასტერში ჩემი ყურადღება მიიქცია ეპ. გაბრიელის სახლმა, რომელიც იმის გარდაცვალების შემდეგ სკოლად გადაკეთდა, მერე მალე დაიკეტა და დღემდის ასეა. მიზეზი ოქროს ჯვრიან ბერსა ვკითხე და ასე ამიხსნა: რადგან ამ სახლებში ეპ. გრიგორი უნდა დამდგარიყო, მიზეზი გიპოვნეთ და დავხურეთ სკოლა. მერე ეპისკოპოსი აღარ მოვიდა და კრებულმა სკოლა აღარ განახლა. არც შეჰშვენოდა მონასტერს, რადგან ბავშვების ყრიამული გალავანში მოსვენებას არ გვაძლევდა და ლოცვას გვიშლიდაო. ამ მიზეზით გამოუსადმებიათ აქაურ ბერებს სიცოცხლისთვის სკოლა, რომელიც ახლო-მახლო სოფლებს დიდ სამსახურს გაუწევდა. ნუთუ წინამძღოლი და თვით იმერეთის ეპისკოპოსი ამავე აზრისანი არიან და არ ითავებენ ეხლა მაინც გახსნან სკოლა და ამით აამონ ეპ. გაბრიელის სულსა, რომლის მთელი სიცოცხლე ხალხის განათლება-სწავლას შეეწირა?!..

**არა იმერელი.**

# სპარსეთი

**ღვინის სმისა და ბანგის მოწევის აკრძალვა.**

დროებით მეჯლისის დადგენილებით აიკრძალა ღვინის სმა და ბანგის მოწევა. ღვინოს ბაჟს დაადებენ და მარტო უცხოელებს მისცემენ მის სყიდვის უფლებას, ხოლო ბანგის შენახვის უფლება ექნებათ მარტო აფთიაქის მაღაზიებს, საიდანაც სპარსელებს მხოლოდ ექიმის ბარათით შეეძლებათ სყიდვა. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს,—სასტიკად დაისჯება.

**ფულის შეწირვა.**

პრინც ზილი-სალთანეს გარდა, კონსტიტუციონურ მთავრობას სამშობლოს განსაახლებლად შესწირეს: სეპეხდარმა—120,000 მან., სარდალ-ასადმა—120,000 მან. და რუსეთში ელჩად ნამყოფმა მუშირ-ედ-დოულემ—60 ათასი მანეთი.

ამ დღეებში დროებითმა მეჯლისმა ითათბირა გადასახადების მომატებაზე. მეჯლისის წევრებმა დაადგინეს, სანამ გადასახადებს მოუმატებდეთ, ხალხს მოწოდებით მივმართოთ, აუხსნათ მიზეზი გადასახადების მომატებისა და ვსთხოვოთ, რომ დასთანხმდეს ამ მომატებასო.

როცა თეირანში გაიგეს ამ სხდომის ამბავი, ბევრმა წარჩინებულმა სპარსელმა, როგორც სამსახურში მყოფებმა, ისე სამსახურიდან გადამდგრებმა გაზეთ „მეჯლისის" საშუალებით სთხოვეს დროებით მეჯლისს, ჯერ გადასახადებს ნუ მოუმატებთ და ჩვენგან მიიღეთ შემწეობაო. ეს შემწეობა იმაში მდგომარეობს, რომ წარჩინებული მოხელეები დროებით უარს ამბობენ [illegible] კეთილ მაგალითს პროვინციელი წარჩინებულნიც [illegible], მთავრობას წელიწადში 5 მილიონი მანეთი დარჩება.

**რუსეთის ახალი ელჩი.**

როგორც უკვე ვიცით დეპეშიდან, თეირანში ჩავიდა რუსეთის ახალი ელჩი პოკლევსკი-კოზელი. ქალაქიდან 25 ვერსის მანძილზე მიეგებნენ „რუს. სლოვო"-სა და „ნ. რუს"-ის კორესპონდენტები და ცოტა ხანს ესაუბრნენ მას. ყაზვინში დაბანაკებულ რუსის ჯარზე ელჩს ეთქვა:

— სამწუხაროდ იქ ძლიერ ბევრი ავადმყოფია, აფიცრებიც მოწყენით არიან, გული გასტეხიათ.

კორესპონდენტებს უკითხავთ, როდის წავა რუსის ჯარი სპარსეთიდანაო, მაგრამ ელჩს გადაწყვეტილი პასუხი არ მიუცია ამაზე.

თეირანიდან 6 ვერსის მანძილზე ელჩს მიჰგებებიან თეირანში მცხოვრები რუსეთის ქვეშევრდომები, თათრები და სომხები, რუსეთის საელჩოს წარმომადგენლები საბლინის მეთაურობით, სპარსელ ყაზახთა ბრიგადა პოლკოვნიკ ბლახნოვის მეთაურობით და სხვები. ქალაქს ახლო ბაღეშაჰში, ელჩს დაუხვდნენ დროებით მთავრობის წარმომადგენელნი.

# ოსმალეთის ამბები

**ოსმალეთის მთავრობის მოქმედება.**

ინგლისური გაზ. „ტაიმს"-ი აქებს ოსმალეთის განახლებულ სამინისტროს მოქმედებას. გაზეთი სწერს:

„ოსმალეთის ახალი მთავრობა საოცარ მხნეობას იჩენს, მეტადრე ადმინისტრაციის განახლებასა და უნიჭო მოხელეების დათხოვნაში. რაც შეეხება საფინანსო საქმეებს, ამ მხრივ ახალ საფინანსო საბჭოს სხდომა უნდა ჩაითვალოს ახალ ხანად ოსმალეთის ფინანსთა ისტორიაში. ოსმალეთის ახალი სესხი უკვე უზრუნველყოფილია.

---

ნეთ იგი და ხალხიც დამშვიდდებაო. ამისთანა შემთხვევისათვის ასლი იყო მოუსვენარი და საკვირველი ენერგიის პატრონი ალექსანდრე ბატონიშვილი, ეს გაჭირვების ტალ-კვესი დედოფლის დარეჯანისა. როგორც ვიცით, ბატონიშვილი ალექსანდრე დიდი ხანია კბილებს ილესავდა მეფე გიორგიზე და ერთხელ ხომ კიდევაც გაიქცა იმერეთში უკმაყოფილებით სავსე. ეხლა ალექსანდრემ ახალი მოთხოვნილება წარუდგინა მეფეს, რომლის ასრულება შეუძლებელი იყო. ალექსანდრე სთხოვდა გიორგის ბორჩალოს, რომელიც ტრადიციით ყოველთვის მეფეთა საუფლისწულო მამულს წარმოადგენდა და არავის არ გადაეცემოდა. რასაკვირველია, ასეთს მოთხოვნილებას გიორგი ვერ დააკმაყოფილებდა და ალექსანდრესაც საბუთი მიეცემოდა გავარდნილიყო საზღვარგარედ და იქ ემოქმედნა რუსეთისა და გიორგის წინააღმდეგ. გიორგიმ თხოვნა არ აუსრულა, ალექსანდრე გავარდა საზღვარ-გარედ. ეს მოხდა 1800 წელს თიბათვეში. მის გავლენას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; ეჭვი არ იყო რომ მისი წასვლა დედოფლისა და ძმების თანხმობით უნდა ყოფილიყო. როგორც გიორგი, ისე რუსის მთავრობა ბევრს ეცადნენ მის დაბრუნებას, რადგან სახეიროდ არავინა სთვლიდა ამ მოუსვენარის ადამიანის გავარდნას, რომელსაც თვით ლაზარევის თქმით დიდი გავლენა და პატივი ჰქონდა მახლობელ ერებში[4]), მაგრამ ვერას გახდნენ. ყოველი საქართველოს მოკეთე ჰგრძნობდა, რომ სახეიროდ არ გავარდა ბატონიშვილი. საზღვარ-გარედ გასული ალექსანდრე ჯერ ოსმალეთში გავიდა ყარსის ფაშასთან, მერე ერევანს, სპარსეთს, შუშას, ნუხას, დაღესტანს და სხვა მეზობლებს მოედო. როგორც მთის არწივი, ისე დაჰქროდა ყველგან და უკმაყოფილების თესლს აბნევდა უხვად. ყველას ასმენდა საქართველოსა და მის ძმების დაჩაგვრას რუსეთისაგან და გიორგისაგან, ყველას უკარნახებდა, რომ ჩრდილოეთის სტუმარი მათაც ჩანთქავდა საქართველოსავით, თუ დროზე არ უშველიდნენ საქმეს. მეზობლებიც ბანს აძლევდნენ მის ღაღადს, რადგან ჰგრძნობდნენ, ადრე თუ გვიან საქართველოს ტაფაში დაიწოდნენ, თუ ვინიცობაა რუსეთი მოიკიდებდა ფეხს საქართველოში. ამავე დროს ალექსანდრეს ცხარე მიწერ-მოწერა ჰქონდა დედოფალ დარეჯანთან და ბატონიშვილებთან, უნდოდათ ერთსა და იმავე დროს, როცა გარედან მტერი მოადგებოდა საქართველოს, შინაც ამბოხება მოეხდინათ.

აი, ამისთანა დროს დიდათ საჭირო იყო ბატონიშვილებისათვის დარეჯან, მისი ერთი ხელში გავლა და ტრიალება სულ სხვანაირად წაიყვანდა საქმეს. დარეჯან დედოფალს დიდი გავლენა და პატივი ჰქონდა მოპოვებული მთელს სამეფოში. მეფე ერეკლეს უკანასკნელს წლებში, როცა ერეკლე ისე მისუსტდა, რომ მისთვის სამძიმო იყო სამეფო საქმეების გძღოლა, დარეჯანი განაგებდა სამეფოს. მას ემორჩილებოდა ყველა და იმის სიტყვასა და სამართალზე იყო დამოკიდებული სამეფოს სასწორი. სწორედ ამ დროში მოიპოვა დიდი გავლენა და პატივი საქართველოში. გარდა ამისა, დარეჯანს დიდძალი ნათესაობა ჰყავდა გაბნეული საქართველოში, რომელთა რიცხვიც 60 ოჯახს აღემატებოდა. ის იყო სული და გული საქმისა და თვით იულონი თავისს ჭკუითა და მოსაზრებით ვერაფერს გაარიგებდა უდედოფლოდ.[5]) აი, რათ უნდოდათ ბატონიშვილთ მისი პროვინციებში წაყვანა და რათ უნდოდა კიდევ გიორგის მისი ქალაქიდან არ გაშვება. ქალაქში დედოფალი სულშეხუთული იყო, გიორგი ყოველსავე მის ნაბიჯს თვალს ადევნებდა და ჯაშუშების შემწეობით ყოველსავე მის მოქმედებას იგებდა. ბატონიშვილთ მოინდომეს მისი ქალაქიდან წაყვანა.

24 მკათათვეს ბატონიშვილები იულონი, ვახტანგი და ფარნაოზი მოადგნენ ტფილისს დედოფლის გასატაცებლად 3,000 ჯარით და ავჭალაში მოიცადეს. რუსეთის მთავრობამ არა ნაკლებ გიორგისა, იცოდა რა ძალას წარმოადგენდა დედოფალი დარეჯანი და არას გზით არ დაანებებდნენ მას ბატონიშვილთ. რუსეთიდან საქართველოსკენ წასვლის დროს კოვალენსკისა და ლაზარევს დაბარებული ჰქონდათ, ფხიზლად ედევნებინათ თვალყური დედოფლისათვის, როგორც ყოველივე ამბოხებისა და არეულობის მოთავისათვის. გარდა ამისა რუსის მთავრობა თითონაც თვალნათლივ დარწმუნდა ადგილობრივ დარეჯანის მოქმედებაში; ჯაშუშებმა უკვე დაიჭირეს რამდენიმე კაცი, რომელთაც აღმოაჩნდათ წერილები დედოფლისა ალექსანდრესთან და სხვებთან. ამ წერილებიდან სჩანდა, რა გზას ადგა დედოფალი და რა ჰქონდა განზრახული. შემდეგში ლაზარევი ასე სწერს საქართველოს მთავარ-გამგეს კნორინგს: „დედოფალი რომ წასულიყო ტფილისიდან, მაშინ დიდი უბედურება მოელოდა ქართლ-კახეთს. იმერეთი, სპარსეთი და სხვა მეზობლები მოადგებოდნენ ქართლ-კახეთს და იმავ დროს შიგნითაც საერთო ამბოხება იჩენდა თავს ყველგან".[6]) რასაკვირველია, თუ ასეთის აზრისანი იყვნენ საქართველოში მყოფნი რუსეთის მოხელენი, მაშინ ყოველ ზომებს მიიღებდნენ, რომ დედოფალი ხელიდან არ გაეშვათ და მით საფრთხეში არ ჩაეგდოთ თავისი თავიც. ბატონიშვილების მოსვლამ ჯარით ტფილისის სიახლოვეს, ფიცხლავ ფეხზე დააყენა გიორგი, კოვალენსკი და ლაზარევი.

მოჰკრა თუ არა ყური ლაზარევმა, დედოფლის გაპარებას აპირებენო, მაშინვე ავლაბარში წავიდა ჯარით, სადაც საკუთარის თვალით დარწმუნდა ნათქვამში. ცხენები და ჯორები შეკაზმულნი უკვე ეზოში ებნენ, სახლებში ერთ ფაცი-ფუცსა და მზადებაში იყვნენ, ყველაფრიდანა სჩანდა, რომ ჩქარა გზას უნდა გასდგომოდნენ. ლაზარევმა საჩქაროდ გაჰგზავნა ავლაბარში ოთხი როტა ჯარი ზარბაზნით, ყარაულები ერთი-ორად გაამრავლა და ყოველი ზომა მიიღო, რომ დედოფალს ქალაქიდან ფეხი არსად გაედგა. ამ ზომების მიღების შემდეგ ქალაქის მახლობლად მდგომ ბატონიშვილებთან გიორგიმ მოლაპარაკება გამართა კოვალენსკის შუამდგომლობით. გიორგის სურდა ძმებსაც შერიგებოდა და დედოფალიც არ გაეშვა ქალაქიდან, ერთის სიტყვით, უნდოდა ორის კურდღლის დაჭერა. კოვალენსკიმ ბატონიშვილები თავისთან მიიწვია ქალაქში მოსალაპარაკებლად, მაგრამ ბატონიშვილები არ დასთანხმდნენ და კოვალენსკი იძულებული იყო, თითონ წასულიყო მათთან ქალაქიდან ხუთის ვერსის მანძილზე. მოლაპარაკებამ უნაყოფოდ ჩაიარა, ბატონიშვილები თხოულობდნენ დედის დანებებას, კოვალენსკი კიდევ არასგზით ამაზე არა სთანხმდებოდა. ბატონიშვილები იძულებულნი იყვნენ გასცლოდნენ ქალაქს.

რაკი დედოფალს დარეჯანს კოჭი ალჩუს ვერ დაუჯდა და ქალაქიდან წასვლა და ამბოხების მოხდენა ვერ მოახერხა, გაბრაზებული ცეცხლის მფრქვევ წერილებსა სწერდა იმპერატორს, სადაც, ასწერდა თავისას და შვილების გაჭირვებას, რომელთაც გიორგიმ ვითომ ყველაფერი წაართვა და უნუგეშოდ დასტოვა, ამბობდა, რომ მინდოდა ქალაქიდან წასვლა შვილებთან, რადგან ცხოვრების სახსარი არა მაქვსო, მაგრამ მეფე გიორგიმ ეს ჩემი მშობლიური მოთხოვნილება სხვანაირად მონათლა და არა თუ არ გამიშვა ქალაქიდან, პირიქით ყარაულები მომიყენა და ისეთს გარემოებაში ჩამაგდო, თითქოს პატიმარი ვიყოო. გიორგისაგან შევიწროვება საზღვარს გადავიდა, ერთმა ჩემმა შვილმა ალექსანდრემ ველარ გაუძლო მეფის მტარვალობას, სზღვარ-გარედ გაიქცა და ურწმუნო ხალხს შეაფარა თავიო. მოიხსენებს რა ყოველსავე ამას, დედოფალი გადადის თხოვნის მთავარ საგანზე და უმტკიცებს იმპერატორს, რომ ერეკლემ დასტოვა ანდერძი, რომლის ძალითაც მეფობა უნდა ჩამოერიგებინათ მის შვილებს, გიორგიმ კი გასტეხა ეს მამის ანდერძი და მემკვიდრედ დაგვნიშნინათ თავისი პირმშო შვილი დავითი. ეს უკანონობაა, გიორგიმ შეცდომაში შეგიყვანათ ყალბის საბუთებით. გთხოვთ თქვენმა აქაურმა წარმომადგენელმა ჰკითხოს სამღვდელოებას და თავად-აზნაურობას, თუ ანდერძით ვის ეკუთვნის მემკვიდრეობაო. თუ სხვა მეფეთა ანდერძი წმინდათ ინახება და სრულდება, ჩემი ქმრის ანდერძი რაღათ უნდა ითელებოდეს ფეხქვეშაო.[7])

ასე აწეწილ-დაწეწილი იყო საქართველო რუსეთის ჯარის შემოსვლის შემდეგაც, ასე უწყალოდ იღრღნებოდა მისი გული. რუსების შემოსვლით ძალზე ასისინდნენ ყველანი, განსაკუთრებით ლეკები და ახალციხის ფაშა, რომელთა თავგასულობასაც ადრე თუ გვიან ბოლოს მოუღებდნენ რუსები. ისინი გრძნობდნენ ამას და ჩქარობდნენ დროთი ესარგებლათ, კალიასავით ედებოდნენ საქართველოს და დღემუდამ სისხლსა სწოვდნენ. შინ უფრო უარესობა ტრიალებდა, მეფე გიორგის და ბატონიშვილებს გაუთავებელი მიხლა-მოხლა და უსიამოვნობა ჰქონდათ. სული და გული ამ შფოთისა ერთის მხრივ დარეჯანი თავისს შვილებით და მეორეს მხრივ გიორგი თავისს შვილებით ორს შეურიგებელს ბანაკს წარმოადგენდნენ, რომელთა შუაც იჭყლიტებოდა ხალხი. ერეკლეს ორჭოფა ანდერძს უკვე თავისი ნაყოფი მოჰქონდა. რა მოხდებოდა მაშინ, როცა საცილობელი ასპარეზი გაფართოვდებოდა, ადვილი წარმოსადგენი იყო, მაშინ ორივე მხარე ერთმანეთს უნდა მისეოდა, ხოლო ვინ გამოვიდოდა გამარჯვებული ამ ძმათა სისხლის ღვრაში, ძნელი გამოსაცნობი იყო.

ასეც მოხდა. ჯერ ტახტზე ახვლამდის ავადმყოფი და სუსტი გიორგი 1800 წელს შემოდგომაზე ლოგინად ჩავარდა. ბატონიშვილებმა ჯერ კიდევ დანამდვილებით არ იცოდნენ, მოსაკდომი იყო გიორგი თუ მოსარჩენი, რომ საჩქაროდ დაფაცურდნენ. არ იცოდნენ, ვინ-ვის გაასწრობდა. ჯერ ისევ ცოცხალის მეფის გარეშემო ერთი ალიაქოთი შეუდგათ. დუშეთში შეყრილმა ბატონიშვილებმა იულონმა, ვახტანგმა, მირიანმა და ფარნაოზმა მოკლე თათბირის შემდეგ გადასწყვიტეს, ჯერჯერობით იმპერატორისათვის მიემართნათ. თავიანთ თხოვნაში ისინი იხსენიებენ უპირველეს ყოვლისა მეფის გიორგისაგან დევნასა და შევიწროებას, აგონებდნენ იმპერატორს, რომ გიორგი უკვე უნუგეშო ავადმყოფია, მისი მორჩენა შეუძლებელია და ამის გამო იხსენიებენ თავიანთ მემკვიდრეობით უფლებას, რომელიც ერეკლე მეფემ დაუტოვა. რადგან მეფე გიორგის შემდეგ შესაძლებელია მემკვიდრეობა მისმა შვილმა დავითმა მიიღოს, ამიტომ ვაცხადებთ რა ჩვენს უფლებას, გთხოვთ მთავარ-მართებლის საშუალე-

4) „Обозрѣніе грузіи", Лазрева.

5) ლაზარევი ხამინლად ამაგებს იულონს, ლოთიბამად და უჭკუო კაცად ხთვლის. ბუტკოვი კიდევ შემდეგს ამბობს: „იგი იყო პირფერი, ამპარტავანი, დაფარულის ხასიათისა და ჰქონდა პატიოსნური სახე". (იხ. „Матеріалы для исторіи Кавказа", Буткова т. II.).

6) იხ. „Рапортъ Лазарева къ Кнорингу", აქტებში.

7) ibedem გვ. 203.

# უცხოეთი

### იაპონელები აღარ სახლდებიან ამერიკაში.

ამერიკელ მუშების პროტესტის პასუხად, იაპონიის მთავარმა კონსულმა სან-ფრანცისკოში გამოაცხადა, რომ სტატისტიკურ ცნობებით, იაპონელი მუშები კალიფორნიაში აღარ მიდიან დასასახლებლადო.

### დემონსტრაცია ბიუჯეტის სასარგებლოდ ინგლისში.

ხალხმა დიდებული დემონსტრაცია გამართა ქალ. გლაზგოში „ისტორიულ“ ბიუჯეტის სასარგებლოდ. დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა 80—100 ათასამდე სული. უზარმაზარმა პროცესიამ, რომელიც მოწყობილი იყო 150 სხვა და სხვა კავშირისა და საზოგადოებისაგან, ქალაქის ქუჩებზე გაიარა მუსიკით, დროშებით და დეკორაციებით, რომლებიც მორთული იყო წარწერებით.

სხვათა შორის პროცესიაში მიჰქონდათ ყვავილების ცარიელი ქოთანი წარწერით: „მე იმდენი მიწაც არა მაქვს, რომ ეს გავავსო“. ეტლით მიჰქონდათ აგრეთვე ლორდის სურათი, რომელიც მაინც და მაინც არ იყო სასიამოვნო ლორდებისთვის. ერთს ეტლში ისხდნენ მოხუცებული ქალები თუ კაცები; ზედ ეწერა: „შევხარით ჩვენს პენსიებს“. ყველგან ისმოდა „ურა“ ფინანსთა მინისტრის ლოიდ ჯორჯის პატივსაცემლად. პროცესია დასრულდა საქალაქო პარკში, სადაც წინადვე გამართულ 11 პლატფორმიდან სიტყვები წარმოსთქვეს 80-მდე ორატორმა. წაიკითხეს დეპეშა მიღებული ლოიდ ჯორჯისგან, რომელიც სწერდა: მთავრობა ბოლომდე იბრძოლებს ბიუჯეტისთვისო. დასასრულ კრებამ დაამტკიცა რეზოლიუცია, რომელშიაც მოწონებული იყო მთავრობის ბიუჯეტი.

### გაფიცვა შვეციაში.

ბერლინიდან ატყობინებენ „რუს. ვედომ.“-ს: „ლითონზე მომუშავეთა საერთაშორისო კავშირმა, რომელსაც ერთ მილიონზე მეტი წევრი ჰყავს, 9 სექტემბერს 500 ათასი მარკა (მარკა—44 კაპ.) მისცა გაფიცულ შვეციელ ლითონზე მომუშავეთ.

### ესპანელების ახალი დამარცხება მაროკოში.

მადრიდიდან ატყობინებენ ევროპიულ გაზეთებს: ბოლოინდელ ბრძოლებში ესპანელებს დიდი ზარალი მისცეს ქაბილებმაო. ერთ ბრძოლის დროს ესპანელებს ეხმარებოდნენ მათ მიერვე შეიარაღებული ქაბილები; გაჭირვების წამს ამ ქაბილებმა უცებ უღალატეს ესპანელებს და თავიანთ მონათესავე ტომების მხარეს გადავიდნენ. ამ ღალატმა ისეთი თავზარი დასცა ესპანიის ჯარს, რომ ბევრი ესპანელი რაზმი გაიქცა ბრძოლის ველიდანაო.

### ბარცელონაში.

მრავალ ტანჯულ ბარცელონას დღემდე არ ეღირსა დამშვიდება. დღემდე იქ სასტიკი სამხედრო წესების დაწესებული. მთავრობის შენობებს იცავენ ჯარისკაცები. ყოველ დღე ქუჩებსა და ტრამვაის ვაგონებში ყუმბარები სქდება. ქალაქი შეშინებულია, რევოლიუციონერებმა გამოსცეს პროკლამაცია, რომელშიაც იმუქრებიან, რომ თუ ფერერს სიკვდილით დასჯიან, მაშინ რევოლიუციონერები უთუოდ მოჰკლავენ ესპანიის მეფეს ალფონსსაო.

ესპანელი საზოგადო მოღვაწე ფერერო ცნობილია მთელს ევროპაში. ესპანიის მთავრობამ იგი დაატუსაღა ბარცელონაში რევოლიუციის დროს და როგორც ისმოდა, სიკვდილით დასჯა დაუპირა, მაგრამ საფრანგეთისა და ინგლისის განათლებული საზოგადოება მედგრად გამოესარჩლა ფერერს და ესპანიის მთავრობამაც ჯერ-ჯერობით მაინც ვერ გაბედა მისი სიკვდილით დასჯა.

### მისიონერის აზრი ჩინელებზე.

ჩინეთიდან დაბრუნებულ მისიონერს მეიერს უთქვამს „ტაიმს“-ის თანამშრომლისთვის: ჩინეთში გაძლიერებით ქადაგებენ პრინციპს: „ჩინეთი ჩინელებისთვის. ჩინელები—კარგი მოწაფეები არიან და ოციოდე წლის შემდეგ ჩინეთში ევროპიელებს საქმე აღარ ექნებათო.

### ახალი რკინის გზა ჩინეთში.

გერმანელმა კაპიტალისტებმა ჩინეთის მთავრობას კონცესია სთხოვეს რკინის გზის გასაყვანად კიაოჩაოდან (გერმანელების კოლონია წყნარ-ოკეანეს ნაპირზე) სიჩუანსა და ტიბეტზე. მერე ეს გზა გაივლის ავღანისტანსა, სპარსეთსა და მცირე აზიაზე და შეუერთდება ევროპის რკინის გზებს. ეს გზა გაივლის ხშირად დასახლებულ ქვეყნებზე, ამიტომ მას მეტი მნიშვნელობა ექნება, ვიდრე ციმბირის გზას აქვს. იაპონური გაზეთები სწერენ, რომ თუ ეს დიდებული პროექტი განხორციელდა, მთელი აზია გერმანიის კონტროლს ქვეშ იქნებაო.

# რუსეთი

◆ **ანეკდოტი.** 30 აგვისტოს ქალაქ დვინსკში ადგილობრივ სამღვდელოებას დაუარსებია „მართმ. დიდებელთა ძმობა“. ძმობის მიზანია ებრძოლოს კათოლიკებს, ლიუტერანებს, მაჰმადიანებს, ებრაელებს და სხვათა. ძმობაში მარტო მართმადიდებლებს იღებენ. ძმობის წესდების მე 24 მუხლის შენიშვნაში შემდეგი სწერია: ძმობის საპატიო წევრებად და მზრუნველებად ითვლებიან ეპისკოპოსი სერაფიმე, ვიტებსკის გუბერნატორი და დვინსკის თავად-აზნაურთა სამაზრო წინამძღოლი“. საინტერესო ის არის, რომ როგორც გუბერნატორი, ისე თავად-აზნაურთა სამაზრო წინამძღოლი ლიუტერანები არიან, სჩანს, რომ ძმობა მათაც უნდა ებრძოლოს, ე. ი. თავის საპატიო წევრებს და მზრუნველებს?!

(რეჩი).

◆ **„აღარ დაეხმარებიან“.** ფინანსთა მინისტრის კანცელარიის ხარჯთ-აღრიცხვაში აქამდის შეტანილი იყო 400 მანეთი, რომელიც, როგორც დახმარება, ეძლეოდა ფინანსთა 1 მინისტრის ყოფილ მოხელე გურიევს. გურიევი ამ ჟამად გაზეთ „როსსიას“ (ოფიციოზურია) რედაქტორად იმყოფება. მიუხედავად ამისა მას მაინც წელიწადში 400 მანეთით ეხმარებოდნენ. „რეჩი“-ს სიტყვით გურიევს 1910 წლიდან აღარ მიეცემა ეს ფული. საწყალი გურიევი მშიერი მოკვდება, რაღა ეშველება!!

◆ **გადასახლებულები.** სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატ ბელოუსოვს პრიანგორსკის მხარის პოლიტიკურ გადასახლებულებისაგან წერილი მიუღია. გადასახლებულები დეპუტატს სთხოვენ, იშუამდგომლოს, რომ მათი მდგომარეობა გააუმჯობესონ. გადასახლებულების სიტყვით ადგილობრივი ადმინისტრაცია ნებას არ აძლევს, რომ ერთი ადგილიდან მეორეში გადავიდნენ და რაიმე სამუშაო იშოვნონ, ისე კი ვერაფერს შოულობენ მართალია მთავრობისაგან ყოველ თვიურად ფული გვაქვს დანიშნული, სწერენ გადასახლებულები, მაგრამ ზოგჯერ 6—7 თვე გაივლის ხოლმე, რომ კაპეიკს არავინ გვაძლევს. პრიანგორსკის მხარეში 1500 კაცი ყოფილა გადასახლებული.

◆ **სატუსაღოებში.** „რეჩი“-ს სიტყვით სატუსაღოების მთავარ-მმართველობა სატუსაღოების ზედამხედველებას ახალ სისტემის რევოლვერებით შესაიარაღებლად 18,000 მანეთი თხოულობს.

◆ **ფინლიანდიის სეიმის მუშაობა.** ფინლიანდიის სეიმის კომისიას შეუმუშავებია კანონ-პროექტი, რომლითაც განსაზღვრულია სამუშაო დღის რაოდენობა. ამ კანონ-პროექტით მექარხნეს არ შეუძლიან, მუშა კვირაში 57 საათზე (დღეში 10 საათზე) მეტი ამუშავოს. იმ მუშას, რომელიც 18 წლისაზე დიდია, უფლება აქვს კვირაში 10 საათზე მეტად იმუშაოს, ე. ი. კვირაში 67 საათი. ამ შემთხვევაში 50%-ით მეტს აიღებს. 16—18 წლის მუშები დღეში 8 საათზე მეტს ვერ იმუშავებენო, 10—18 წლისანი—6 საათზე მეტსო. „რეჩი“-ს სიტყვით, ამ კანონ-პროექტს სეიმი ამ დღეებში მიიღებს.

◆ **სამართალში მიცემა.** სატაზტოს ქალაქის გაზეთების სიტყვით ჟანდარმ ზაპოლსკის სამართალში მიუცია ნაფიც-ვექილი ბულაცელი. როგორც მკითხველს მოეხსენება ზაპოლსკი ფინლიანდიის სასამართლოს მოწმედ გაიწვია გერცენშტეინის მკვლის საქმის გამო. ზაპოლსკიმ იუსკევიჩ-კრასკოვსკის, ლარიჩკინის, დუბროვინის და სხვების წინააღმდეგ ილაპარაკა. ბულაცელმა ამაზე განაცხადა, ზაპოლსკი მოსყიდულიაო. ზაპოლსკი ბულაცელს უჩივის, ცილი დამწამაო.

◆ **სატუსაღოებში.** იუსტიციის სამინისტროს ცნობებით ამ ჟამად მთელი რუსეთის სატუსაღოებში 169,385 ტუსაღი ყოფილა.

◆ **სავალდებულო დაზღვევა.** „ბაკუ“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: სამხედრო სამინისტროში ამ ჟამად ადგენენ კანონ-პროექტს, რომლის ძალითაც აფიცერნი მოვალენი იქნებიან თავი დააზღვევინონ.

◆ **თათბირი სტოლიპინთან.** სახელმწიფო სათათბიროს სესსის დაწყების წინ პრემიერ-მინისტრი სტოლიპინი თათბირს გამართავს სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს პარტიების წარმომადგენლებთან. ხმა დადის, რომ პრემიერ-მინისტრი საკანონმდებლო დაწესებულებების პარტიების წარმომადგენლებთან დრო გამოშვებით თათბირს გამართავს ხოლმე (კას.).

◆ **ებრაელები.** პეტერბურგში ხმა გავრცელებულა ამ მოკლე ხანში ბრძანებას გამოსცემენო. ბრძანებაში ნათქვამი იქნება, ებრაელებს ნებას ნუღარ მისცემთ მართლ-მადიდებლობაში გადავიდნენ, რადგან ებრაელები უმეტეს შემთხვევაში თავიანთ გარემოების გასაუმჯობესებლად იღებენ მართლ-მადიდებლობასო. ამ ბრძანებით იმ ებრაელს, რომელსაც მართლ-მადიდებლობაში გადასვლა უნდა, უწინარეს ყოვლისა რამდენიმე ხანი მონასტერში უნდა დაჰყოს.

◆ **შეურაცყოფილი რეინბოტი.** მოსკოვის გრადონაჩალნიკად ნამყოფს, «ცნობილ» გენერ. ლ. რეინბოტს სამართალში მიუცია «რანნეე უტრო»-ს რედაქტორი, „ცილი დამწამეო“. რეინბოტი ეს მეხუთე გაზეთის რედაქტორს აძლევს სამართალში და მიზეზი ისევ ის «ცილისწამებაა!»

◆ **„ჭეშმარიტ რუსთა კავშირი“.** „კავშირში“ ამ ბოლო დროს დიდი ამბები ხდება. „კავშირის“ ოდესის საოლქო განყოფილების თავმჯდომარეს გრაფ კონოვნიცინს სამხრეთ რუსეთის „კავშირის“ განყოფილებებისთვის მიუწერია, მთავარი საბჭო ხელახლა ივანელად არ ვარგა და ამიტომ სინიდისი და სამშობლოს სიყვარული მაიძულებენ სამხრეთ რუსეთის ყველა განყოფილებების მეთაურობა ... რადგან ... [illegible] რადგება მიუძღვია ამ არევ-დარევისთვის და გადაუწყვეტია, პასუხი მოსთხოვოს კონოვნიცინს და ოზნობიშინს. ამას გარდა მთავარი საბჭო განყოფილებებს წერილებს დაუგზავნის და შეატყობინებს, რომ ვინც კონოვნიცინს და ოზნობიშინს გაჰყვება, „კავშირიდან“ გამორიცხულად ჩაითვლებაო.

---

გამოკითხოთ სამღვდელოებასა და ხალხსა, ვის უნდა ერგოს სამეფო ტახტი და ვინ არის მისი კანონიერი მემკვიდრე ერეკლე მეფის ანდერძით, და გთხოვთ ამის შემდეგ დაგვამტკიცოთ.[8])

ასეთი თხოვნა ყველამ ცალ-ცალკე გაუგზავნა იმპერატორს. ეს მოხდა 7 ოქტომბერს, როდესაც იმედი მეფის მორჩენისა ჯერ კიდევ არ გადაწყვეტოდათ მის ჭირისუფალთ. იმპერატორის გარდა, თხოვნით მიჰმართეს საქართველოს მთავარ გამგეს კნორინგს. სხვათა შორის, სწერდნენ ძმები, ჩვენი ძმა მეფე გიორგი და მისი შვილი გვემუქრებიან, გაგდევნით საქართველოდან რუსეთის მხედრობის ძალითაო და რადგან შესაძლებელია მეფე ჩქარა მიიცვალოს და მისმა შვილმაც მუქარა სისრულეში მოიყვანოს, ამიტომ გთხოვთ, უპირველეს ყოვლისა რუსეთის მხედრობის წარმომადგენელმა საქართველოში მხარი არ დაუჭიროს და „უჯერო საქმე არა რა მოხდეს და ესეცა ვითარმედ უკეთუ მეფე აწინდელ გარდაიცვალოს, რათა მეტოქე ჩვენი (დავით გიორგის ძე), არა დაადგინონ მეფედ, არამედ მსგავსად ყოვლად უმონებრითისა უმაღლესისა ტახტისადმი თხოვნისა ჩვენისა, ჰკითხოს სამღვდელოთა და საეროთა საქართველოსათა სამართალი მეფისა, სანატრელის მეფის მამისა ჩვენისაგან ჩვენთვის წერილით დატოვებული... ხოლო ვიდრე უმაღლესისა კარისაგან მოწყალებითისა პასუხისა მიღებამდე, რათა აქაური სამეფო საქმების მართებლობისა მიღება **ინებოთ თვით თქვენ ანუ უბრძანოთ აქ** მყოფს მხედართ-მთავართა“.[9])

ამგვარ შინაარსის წერილი ყველა ბატონიშვილმა ცალკე გაუგზავნა კნორინგს, ისევე როგორც იმპერატორს. ვახტანგმა კიდევ დაუმატა თავისს წერილს, რომ **თუ ვინიცობაა დავითი გამეფდა, ამას ერეკლეს შვილები არ დავთმობთო.** ბატონიშვილმა იულონმა წერილთან ერთად კნორინგს გაუგზავნა ძლვნად საუცხოვო ცხენი და გულის მოსაგებად ასე მისწერა: „ერთგულებისა მივართვი მაღალ მსვლელობასა თქვენსა ცხენი ბედაური ყურანი, რომელსაცა ზედა ამხედრებული, დაჰხედვიდე გულსა ჩემსა ერთგულებისა თქვენისა გზასა ზედა მავალსა“.

ერთის სიტყვით, მეფის ძმანი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ დავითი არ გამეფებულიყო. თუ მათი თხოვნის პასუხი იმპერატორისაგან დაიგვიანებდა, მაშინ კნორინგს არ უნდა გაეშვა მათი მეტოქე გასამეფებლად; უნდა პასუხისთვის მოეცადნა და ამ დროს განმავლობაში კი ან თითონ უნდა განეგო სამეფო, ან ლაზარევს. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ დღიდან ძმები შეთანხმებით მოქმედებდნენ და ცდილობდნენ ძლიერ კოალიციის შედგენას დავითის წინააღმდეგ.

მაგრამ, ამ დროს განმავლობაში, არც ბატონიშვილი დავითი იჯდა გულზედ ხელ-დაკრეფილი, იმან კიდევაც გაუსწრო თავისს მოქიშპეებს. თუ ქართლელები იულონის მომხრენი იყვნენ, კახელები კიდევ დავითისა. 23 დეკემბერს, ე. ი. ხუთის დღის წინად გიორგის გარდაცვალებამდის, შემდეგი თხოვნა მიართვეს ლაზარევს კახელებმა:

„ჩვენ ერთობით კახთ თავადთა, აზნაურთა და გლეხთა, სამღვდელ ... თა დასთა და ყოველ თავე მოხსენება ესე არს: რადგან დიდებულმან ხელმწიფემან ... ჯულების წესით და უმაღლესის გრამატის ძალით მეფის გიორგის ძის დავითის მემკვიდრეობა ინება, ჩვენც მაგის მეტი მეფედ არავინ გვენებება, უმეტესად ამის უკვე მიზეზისათვის, რომ სხვათ მეფის ირაკლის შვილებმა საქართველოს ტყვეობა და აოხრება მოინდომეს და საქართველოს ხალხისა ავაზაკის ბაბახანის მფარველობის ქვეშევრდომობა ინებეს, ომარახანს მოუძღვნენ და ჩვენისა ცოლისა და შვილის დატყვევებას ეცადნენ.[10]) უკეთუ თქვენი მაღალ-მხედველობა რუსეთის უძლეველის მხედრობით არ ყოფილიყო, უთუოდ იმის წინამძღოლობით ჩვენ ტყვეობასა და ოხრებასა შინა ვიქნებოდით. ჩვენ ამის მიზეზებისათვის ვითხოვთ თქვენის მაღალ-მსვლელობისაგან, რომ ეს ჩვენი მოხსენება ყოვლად მოწყალე ხელმწიფესა და გენერალ კნორინგსაც გამოუცხადოთ, რომ ჩვენ მეფედ დავადგინეთ დავით, რომლისაც მეფობისთვის ამ ჟამად დავიფიცეთ და გარდა ამისა ვერც არავის მეფედ მივიღებთ და ვთხოვთ თვით მაღალმსვლელობისა თქვენისა ნებაცა ათანახმოთ ნებასა ჩვენსა, რომლისათვისცა ვეგებით ჩვენ უღრმესა პატივისცემასა თქვენსა“.[11])

**ზ. ედილი.**

(შემდეგი იქნება)

[8]) ibid, T I, გვ. 225

[9]) ეს წერილი ბატონიშვილებისა ქართულად არის მოყვანილი აქტების პირველ ტომში.

[10]) აქ იგულისხმება ავარიის ხანის ომარხანის შემოსევა, რომელსაც, სხვათა შორის, ხელმძღვანელობდა ალექსანდრე ბატონიშვილი. მაგრამ ომარხანს გენერალი ლაზარევი დაუხვდა რუსთა და ქართველთა ჯარით და იორზედ სასტიკად დაამარცხა 1800 წელს. ამაზე დაწვრილებით იხილეთ წერილი ესამისა, «ივერია» 1900 წ.

[11]) იხ. „Акты Кавк. арх. ком.“, т. I.


# განცხადებანი

**!უფრო იაფად შეუძლებელია!**

**2 მანეთად და 75 კაპეიკად.**

ვუგზავნი მსურველს შევიოტის ნაჭერს „ტრიუმფს“ 4½ არშინს მამაკაცის მთელი კასტიუმისთვის. სიიაფის მიუხედავად, მატერია „ტრიუმფი“ მატყლისაა (და არა ბამბისა) და საუკეთესო მატერიის თვისებებს შეიცავს; მკვიდრია, კარგი ხასიათი და კოხტა. ფერები: შავი, ლურჯი, მიხაკის ფერი, მუქი. გაგზავნა 55 კ. ვინც სამ ან მეტ ნაჭერს გამოიწერს, გაგზავნა ჩემი ხარჯით. ადრესი: Фабриканту Зигмунду Розенталь. г. Лодзь. N 178. წერილი რუსულად უნდა დაიწეროს. (Метцель и К° N 57123) (0—6—1)

გამოვიდა და იყიდება

**„ქება-ქებათა“ სოლომონისი,** კიტა აბაშიძის წინასიტყვაობით და შენიშვნებით და **„სულამიტ“,** ა. შანშიაშვილისა. გამოცემა კ. აბაშიძისა. წიგნი იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში, ფასი ორი შაური. (10—5)

**პირველი ქალაქო საავადმყოფო დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის შენლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**საღამოთი:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—173)

**დაიბეჭდა** ქართული პიესები: **„უშნო არშიყი“**, კომ. 3 მოქმ., **„სოფიო“**, ვოდევ. 1 მოქმ., **„დუქნის ოთახში“**, სცენა ქალაქის ცხოვრებიდან, თხზულებანია ალ. თუთაევისა. გამოცემა მეორე. ფასი 20 კაპ.

იყიდება: წ.-კ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში; „ცოდნის“ წიგნის მაღაზიაში; ქ. გორში—არსენ კალანდამესთან, ტფილისში—დიდუბეში ავტორთან საკ. სახ. N 212. ვინც 20—50 ცალს გამოიწერს, დათმობა 25%. (25—393—20)

ვაჭრობისა და მრეწვ. სამინისტროს უწყებაში მყოფი

**საბუხჰალტრო კურსები ნ. ვ. აბრაამიანისა.**

ტფილისი, ნიკოლოზის ქ., 22, საკ. სახლი, ტელეფონი N 744.

კურსები „ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოს“ ავტორისაა. ეს სახელ. მოწონ. საკომერც. სასწავლებლისთვის ფინან. სამინისტროსაგან. კურსები ორივე სქესისთვისაა. სწავლის ვადა 4 თვე. ასწავლიან **უცხო** ენებს და სტენოგრაფიას. სწავლა დაიწყება 15 სექტ. 1909 წ. და იქნება ყოველ დღე. პროგრამები და წესები უსასყიდლოდ იგზავნება. მიღება ყოველ დღე 15 აგვისტოდან.

კურსებთან სუსტად მომზადებულთათვის არსებობს მოსამზ. კურსები. ვინც ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოს გაიწერს ავტორისაგან, გასაგზავნ ფასს არ გადაიხდის. წიგნი ღირს 3 მ. 50 კ. (0—ხალ.—16)

ტ. მ. ფილოიანის

**საკომერციო ცოდნის კურსებზე**

(მიხეილის პროსპ. N 24/4).

ასწავლიან **ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ** ენებს. თავისუფალ კითხვას, წერას და ლაპარაკს კაცი რვა თვეში შეისწავლის თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობით. მოეწყობა ჯგუფები ლათინური ენის შესასწავლად სიმწიფის ატესტატების მისაღებად. მიღება 10—12 ს. და 4—7 ს.

კურსების დამაარსებელი საკომერც. მეცნიერებათა კანდიდატი **ტ. ფილოიანი.** (20—ხალ.—1)5

**პროვოდნიკის**

ФАБРИЧ. КЛЕЙМО Т. Р. Р. Ф. В. ПРОВОДНИКЪ РИГА

1897 წ. 1888

1908 წ.

**ამხანაგობა რიგაში**

სატაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

**იყიდება ნარდად და ცალობით:**

ლინოლეუმი, აურებელი ერთფერიანი უზორებიანი,

აბაზისის კაბები,

აბაზისის და ტალის ნაბიჯა

**ახალი რამ:**

„საუკუნო“ ლინოლეუმი უზორებით, რომელიც მორჩ მხარეს-კი გადის და რომელიც ... ლინოლეუმის ...

ლინკრუსტა ...

**ცალობით ვაჭრობა ... „პროვოდნიკი“-სა**